პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

10 მარტი, 1939 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო | ფასი 30 კაპ. № 9 (96).

ძლიერი და მონოლიტური, ხალხთა ბრძენი ბელადის და მასწავლებლის დიდი სტალინის გარშემო მტკიცედ შემჭიდროებული ხვდება ბოლშევიკური პარტია თავის XVIII ყრილობას.

ლენინ-სტალინის დროშით პარტიამ მიაღწია სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს. ლენინ-სტალინის დროშით მიჰყავს მას ჩვენი ხალხი წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

ლენინ-სტალინის პარტიის მეთვრამეტე ყრილობა

დღეს, 10 მარტს, ჩვენი სოციალისტურ სამშობლოს დედა-ქალაქში, მოსკოვში, მუშაობას იწყებს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-18 ყრილობა. მე-17 ყრილობის დროიდან, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც გამარჯვებულთა ყრილობა, ხუთმა წელმა გაიარა. ეს წლები აღსავსეა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებით, ძლევამოსილი წინსვლით ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე, საბჭოთა პატრიოტების — პარტიული და უპარტიო ბოლშევიკების—ბრწყინვალე საქმეებით, პატრიოტების, რომელნიც ჰქმნიან კაცობრიობის ახალ ისტორიას, რომელთაც **ლენინ-სტალინის** უძლეველი პარტიის მეთაურობით, ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით გამოსჭედეს ჩვენი სამშობლოს მშრომელთა ბედნიერება და ააშენეს სოციალიზმის დიდებული შენობა, რომელიც ურყევ სიმაგრედ აღმართულა მსოფლიოში და რომელიც შუქურასავით უნათებს გზას ყველა ქვეყნის მშრომელთ.

მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად ჩვენი ქვეყანა სოციალისტური სიუხვის, საწარმოო ძალთა შემდგომი, უფრო გიგანტური აყვავების გზაზე გამოვიდა. ჩვენი ძლიერების წყაროები უხვად სჩქეფენ ჩვენი მიწის სიღრმეებიდან, ბრძმედებიდან, მარტენებიდან, ქარხნებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან, სამეცნიერო დაწესებულებებიდან. საბჭოთა ადამიანების შრომა დიდებისა და სახელის შარავანდედით არის მოსილი; საბჭოთა ადამიანების შრომა, რომელიც შემოქმედებად არის გადაქცეული, შეიარაღებულია ყველაზე მოწინავე, ყველაზე მძლავრი ტექნიკით; საბჭოთა კავშირი მძლავრი პირველხარისხოვანი ინდუსტრიის და მსოფლიოში ყველაზე მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყანაა; გადაჭრილია სოციალისტური რევოლუციის უძნელესი ამოცანა: დამთავრებულია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და ურყევად განმტკიცებულია საკოლმეურნეო წყობილება. ჩვენი სამშობლო თავისუფლებისა და მშვიდობიანობის უძლეველი ბურჯია. ახლა, როცა საბჭოთა კავშირის მილიონები მჭიდროდ არიან დარაზმულნი სტალინური ცენტრალური კომიტეტის და დიდი **სტალინის** გარშემო, როცა შექმნილია საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, როცა ჩვენი სამშობლო მდიდარია ყველაფრით, რაც საჭიროა კომუნიზმის ძალთა სრული გაფურჩქვნისათვის, როცა სტახანოვური შრომა უფრო და უფრო მეტად აყენებს სოციალიზმის სამსახურში წიაღთა აურაცხელ საგანძურებს,— საბჭოთა კავშირი შევიდა თავის განვითარების ახალ ხანაში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანი გადასვლის ხანაში.

პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების ბრწყინვალე შედეგებმა, მესამე ხუთწლედის გრანდიოზულმა პერსპექტივებმა, რომელნიც **ლენინ-სტალინის** მოძღვრების, მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა გენიალური იდეების განხორციელების ბრწყინვალე ტრიუმფია, სსრ კავშირის მუშებსა, გლეხებსა და ინტელიგენციაში წარმოშვეს ახალი, უფრო მძლავრი სიმხნევე და რწმენა, უდიდესი საწარმოო აღმავლობა და შრომითი ენტუზიაზმი. ამ ენტუზიაზმმა ნათელი გამოხატულება ჰპოვა იმ მზადებაში, რომელიც საბჭოთა კავშირის მშრომელთა მილიონებმა დაიწყეს მაშინვე, როგორც კი გამოქვეყნდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის მოწვევის შესახებ. თავისი უღრმესი და გულწრფელი სიხარული ყრილობის შეხვედრის მოლოდინში ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა გამოხატეს წინა-საყრილობო შეჯიბრების სახელოვანი საქმეებით, მოწინავეთა შემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ გაშლით, გამოხატეს ათასობით ტონა ლითონისა და ქვანახშირის, ასიათასობით მეტრი ქსოვილის გეგმის ზევით გამოშვებით. წინა-საყრილობო დღეებში პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა კიდევ უფრო მძლავრად მოეფინა მთელს ჩვენს სამშობლოს ბელორუსიიდან პრიმორიემდე, სამხრეთიდან ყინულოვან არქტიკამდე, მოეფინა საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და სოფლებს, ფაბრიკა-ქარხნებს და სოციალისტურ მინდვრებს, რომელთაც სოციალიზმის ბრწყინვალე მზე დაჰნათის.

დღეს საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობაზე წარსდგებიან თერთმეტი მოძმე რესპუბლიკის ბოლშევიკები, **ლენინ-სტალინის** პარტიის ერთგული შვილები, რომელთათვის სიცოცხლის, ბრძოლისა და მუშაობის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს დიდი **სტალინის** ნებისყოფის შესრულება, ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ყოველ მითითების შესრულება.

ბოლშევიკური პარტია ერთი წუთითაც არ ივიწყებს დიდი **სტალინის** მითითებას კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ და განუწყვეტლივ ამაღლებს სიფხიზლეს, მაღლა უჭირავს რა ბოლშევიკური პარტიულობის დროშა. ბოლშევიკებმა გაანადგურეს ხალხის ვერაგი მტრები, ფაშიზმის ტროცკისტულ-ბუხარინელი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი აგენტები. და მომავალშიაც ასევე შეუბრალებლად განადგურებული იქნება ყველა, ვინც ოქტომბრის მონაპოვართა ხელყოფას განიზრახავს.

ბოლშევიკური პარტიის მონოლითური მთლიანობა, მისი რიგების ფოლადისებური სიმტკიცე ერთხელ კიდევ დაადასტურა პარტიული ორგანიზაციების სამზადისმა საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის შესახვედრად. ნაცკომპარტიების ყრილობებმა, სამხარეო და საოლქო პარტიულმა კონფერენციებმა და მათ შორის საქართველოს ბოლშევიკების მე-12 ყრილობამ ფართოდ განიხილეს და ერთსულოვნად მოიწონეს ამხანაგ **მოლოტოვის** და ამხანაგ **ჟდანოვის** მოხსენებათა თეზისები. მთელი სამზადისი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის ჩატარებულ იქნა სახელოვანი სტალინური ტრადიციებისადმი ერთგულების ნიშნით, პარტიული ორგანიზაციების ძლიერების და ბრძოლის უნარიანობის უფრო მეტად განმტკიცების ნიშნით. საქართველოს ბოლშევიკები, რომელთაც მრავალი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა, ზრდიდა და აწრთობდა **სტალინის** საუკეთესო მოწაფე და თანამებრძოლი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი **ლავრენტი ბერია,** საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე წარსდგნენ ღირსეული გამარჯვებებით როგორც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ისე კულტურის ფრონტზე.

საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობა, რომლის ტრიბუნიდან გაისმის ამხანაგ **სტალინის** მშობლიური და საყვარელი ხმა, შეაჯამებს ჩვენი ქვეყნის გრანდიოზულ წარმატებებს და დასახავს ახალ პერსპექტივებს შემდგომი ბრძოლისათვის კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

დიდია ეს გამარჯვებანი კულტურის ფრონტზედაც. სსრ კავშირში შემავალ ხალხთა შორის აყვავდა და გაიფურჩქნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. თითოეული განვლილი წელი აღინიშნება თვალსაჩინო წარმატებით როგორც საბჭოთა მეცნიერების, ისე ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. ეს არის საერთო მძლავრი აღმავლობის გამოხატულება, რომელმაც მოიცვა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი დიადი ხალხი, რომელიც **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით მიდის კომუნიზმის მაღალი საფეხურისაკენ. მესამე სტალინური ხუთწლედი უფრო ფართო და ნათელ გზას უხსნის საბჭოთა მეცნიერებასა და ტექნიკას, საბჭოთა ხელოვნებასა და ლიტერატურას.

ყოველდღიურად მიდის წინ, იზრდება და ძლიერდება ჩვენი უძლეველი სოციალისტური ქვეყანა. მესამე სტალინური ხუთწლედის ძლევამოსილად შესრულება იქნება ახალი გიგანტური ნაბიჯი კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

პოეტის ტ. გ. შევჩენკოს ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ მისი დაბადებიდან 125 წლისთავთან დაკავშირებით

ტ. გ. შევჩენკოს დაბადებიდან 125 წლისთავთან დაკავშირებით პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად:

1. მიეკუთვნოს ტ. გ. შევჩენკოს სახელი სახელმწიფო აკადემიურ ლენინის ორდენოსან კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრს.
2. მიეკუთვნოს ტ. გ. შევჩენკოს სახელი კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტს.
3. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დააწესოს ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ორი სტიპენდია ლენინგრადის სამხატვრო აკადემიაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი
1939 წლის 5 მარტი.

საქართველოს საბჭოთა მწერლები საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას

უდიდესი აღმავლობითა და აღფრთოვანებით ეგებება მძლავრი საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ისტორიულ მეთვრამეტე ყრილობას, რომელიც შეაჯამებს სოციალიზმის აშენებისათვის გმირული ბრძოლის სახელოვან გზას და დასახავს უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გრანდიოზულ პროგრამას.

განუზომელი სიამაყითა და კმაყოფილებით უცქერს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა თავის უდიდეს, მსოფლიო-ისტორიულ წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია ბოლშევიკების პარტიის ორ ისტორიულ ყრილობას შორის განვლილ მანძილზე. ეს წარმატებები და გამარჯვებები ოქროს ასოებით აღბეჭდილია დიად სტალინურ კონსტიტუციაში, რომელიც წარმოადგენს სოციალიზმის ყველა მტრებთან ბრძოლაში საბჭოთა ხალხის გმირობისა და უძლეველობის მძლავრ გამოხატულებას, ლენინ - სტალინის პარტიის ყოვლისმძლე იდეების სიდიადის, სსრ კავშირის თავისუფალ, ბედნიერ მოძმე ხალხთა სტალინური მეგობრობით შეკავშირებული ურღვევი ოჯახის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგის განუხრელი ზრდისა და აყვავების მძლავრ გამოხატულებას.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სწრაფი ზრდისა და განვითარების საფუძველზე გაიფურჩქნა ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხების ლიტერატურა და ხელოვნება. საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი წარმატებანი მაჩვენებელია უდიდესი გაქანებისა და შესაძლებლობებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირში შექმნილია ყველა ნაციონალური კულტურისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ორ ისტორიულ ყრილობას შორის განვლილი პერიოდი ყველაზე ნაყოფიერი და ეფექტურია საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ყოველდღიური დახმარებითა და მზრუნველობით, საქართველოს საბჭოთა მწერლებმა, გასწმინდეს რა თავისი რიგები მტრული უწმინდურებისაგან, კომუნიზმის დიადი დროშის გარშემო მჭიდროდ დარაზმულებმა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვან შემოქმედებითს გამარჯვებებს მიაღწიეს.

საქართველოს საბჭოთა პოეტებმა გამოსცეს კრებული „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“, რომელიც წარმოადგენს დიდი **სტალინისადმი** საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გულწრფელ და შთაგონებულ პოეტურ გამოხატულებას. სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების ისტორიულ დღეებში საქართველოს საბჭოთა პოეტებმა შეჰქმნეს ორი დიდი კრებული „ბედნიერი სამშობლო“ და „ბედნიერების სიმღერები“. გმირი ესპანელი ხალხის ბრძოლას ქართული პოეზია გამოეხმაურა კოლექტიური წიგნით „ესპანელ ხალხს“, ხოლო საბჭოთა ხალხის გმირული შრომითი ენტუზიაზმი, მიმართული სტალინური ეპოქის მონუმენტის — ახალი კოლხიდის შექმნისაკენ, ქართველმა პოეტებმა ასახეს დიდ კოლექტიურ წიგნში „ახალი კოლხიდა“.

საქართველოს საბჭოთა მწერლებმა: გ. ტაბიძემ, ალიო მაშაშვილმა, გ. ლეონიძემ, ს. ჩიქოვანმა, ი. მოსაშვილმა, ალ. აბაშელმა, ვ. გაფრინდაშვილმა, ირ. აბაშიძემ. კ. კალაძემ, ალექსანდრე გომიაშვილმა, გიორგი კაჭახიძემ, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, ი. გრიშაშვილმა, ს. ეულმა, რ. გვეტაძემ და სხვებმა ამ ხუთი წლის განმავლობაში შეჰქმნეს მთელი რიგი შესანიშნავი ლექსები, რომლებიც გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდათაწმინდა გრძნობით, რომლებიც ხატავენ სოციალისტური შრომის გმირების პოეტურ სახეებს, უმღერიან ჩვენს დიად სამშობლოს, ჩვენს საყვარელ მამას, მასწავლებელს—დიდ **სტალინს.**

ქართული პოეზიის დიდ მიღწევას ეპიური ჟანრის დარგში წარმოადგენს გ. ლეონიძის პოემა „ბელადის ბავშვობა-ყრმობა“, ალიო მაშაშვილის „ენგური“, გრ. აბაშიძის „შავი ქალაქის გაზაფხული“ და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ორ ყრილობას შორის განვლილი წლების მანძილზე საქართველოში შექმნილია მთელი რიგი დიდი ბელეტრისტული ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ სოციალისტური მშენებლობის ძირითად პროცესებს და საბჭოთა ხალხის გმირულ წარსულს. შ. დადიანის, ლეო ქიაჩელის, დ. შენგელაიას, ს. კლდიაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიას, ალ. ქუთათელის, პ. ჩხიკვაძის, ალ. ჭეიშვილის, აკ. ბელიაშვილის და სხვ. რომანები და მოთხრობები ასახავენ ქართველი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის მკაფიო სურათებს. ბევრი მათგანი თარგმნილია მოძმე ხალხთა ენებზე.

გაიზარდა და განმტკიცდა ქართული საბჭოთა დრამატურგიაც, რომელიც გვიხატავს ჩვენი ეპოქის საუკეთესო ადამიანების სახეებს და ქართველი ხალხის რევოლუციური წარსულის დაუვიწყარ ეპიზოდებს. ქართული დრამატურგიის დიდ მიღწევას წარმოადგენს შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“, ს. შანშიაშვილის „არსენა“ და „ფოლადაური“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“ და „შემოდგომის აზნაურები“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, ი. ვაკელის „მური“.

იზრდება და მტკიცდება მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურისმცოდნეობა და ლიტერატურული კრიტიკა. ქართველ ლიტერატურისმცოდნე — კრიტიკოსების ჯგუფმა დაამთავრა მუშაობა ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე კურსზე, რომელიც საფუძვლად დაედება მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის პრობლემების შემდგომ დამუშავებას.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარებულია უდიდესი მუშაობა კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებისათვის. რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის საიუბილეო თარიღებთან ერთად საქართველოში დიდ სახალხო დღესასწაულებად აღინიშნა გენიალური პუშკინის და შევჩენკოს იუბილეები, „იგორის ლაშქრობის ამბავის“ 750 წლისთავი და სხვ.

ჩვენ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ნაწილი ქართული საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მიღწევებისა, რომლებიც მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. 13 მოწინავე ქართველი მწერალი დაჯილდოვებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით განსაკუთრებული წარმატებებისათვის საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში.

მესამე სტალინური ხუთწლედი სახავს ახალ კოლოსალურ აღმავლობას ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. საბჭოთა ლიტერატურის წინაშე ისახება ახალი ამოცანები და მოთხოვნები.

ლენინ - სტალინის დიადი პარტიის XVIII ყრილობის გახსნის ისტორიულ დღეს საქართველოს საბჭოთა მწერლები მტკიცე პირობას სდებენ, რომ უფრო მეტი ძალითა და ენერგიით, ბოლშევიკების პარტიის უძლეველი დროშის ქვეშ გაშლიან ბრძოლას დიადი სტალინური ეპოქის შესაფერი საბჭოთა ლიტერატურის ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებისათვის.

ალიო მაშაშვილი, შალვა დადიანი, გ. ტაბიძე, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი. გ. ლეონიძე, დ. შენგელაია, ლ. ქიაჩელი, ს. შანშიაშვილი, ს. კლდიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. გამსახურდია, რ. გვეტაძე, ი. გრიშაშვილი, ა. აბაშელი, ს. ეული, კ. კალაძე, ა. გომიაშვილი, გ. კაჭახიძე, გ. ქუჩიშვილი, ა. ქუთათელი, ა. ჭეიშვილი, კ. ჭიჭინაძე, ი. ლისაშვილი, ი. ვაკელი, პ. კაკაბაძე, პ. ჩხიკვაძე, ა. ბელიაშვილი.

ქვეყანა უსმენს

ილო მოსაშვილი

ამ ღამეს ფრთხილად ნიავის დენა,
ფრთხილად ცვიოდეს თოვლიც ქულებად.
მიწას დავაკრათ ყური და სმენა
როგორც ზღაპარში არის თქმულება.

ამ დილით ხესთან გაქვავდეს ჩრდილი,
მთებზე ღრუბლები შედგნენ ზვინებათ,
დაღამდეს, მაგრამ მთვლემარე ძილით
ნურსად, ნურავის დაეძინება.

იქ ქვეყნის გმირთა პირველი რაზმი,
დედა-სამშობლოს გულში მისულა, —
ვინც ერთის რწმენით და ერთის აზრით
წმინდა დროშაზე ძმად შეფიცულა.

მე კიდეც ვხედავ: იღება კარი,
კრემლზე თერთმეტი ვარსკვლავი ელავს.
თერთმეტ დროშაზე ასული ქარი
ტაშის ხმასავით მიჰყვება ბელადს.

და მიყუჩდება უცებ ფრთაცივი,
შეეფარება შრიალა ფარჩებს,
რომ მინდვრებიდან მოსულ კაცივით
ისაც ყრილობის დარბაზში დარჩეს.

მიყუჩდეს... ხესთან გაქვავდეს ჩრდილი,
ტოტებზე იკლონ ყინვის მძივებმა.
დაღამდეს, მაგრამ მთვლემარე ძილით
ნურსად, ნურავის დაეძინება.

ბელადის გულის ძგერა და ფეთქვა
გააღებს ყველა ჭერსა და კარებს,
რომ უკვდავ სიტყვით რაც უნდა ეთქვა —
უთხრას ბედნიერ სამშობლო მხარეს.

მეთვრამეტე ყრილობის დელეგატებს

ვასო გორგაძე

ვით ფრიალო კლდის არწივების ბუდეა მრავალი,
ყოველი კუთხით—რკინის კედლად დარაზმულები—
მიხვალთ ბელადთან ვაჟკაცურად შეფიცულები:
შორი კოლხეთით, თუ ციმბირის ვრცელი ტრამალით.

მართალი გულით, განუხრელი გზით მიმავალი,
ერთ ნებისყოფით ხართ ფოლადად ჩამოსხმულები.
ხალხის მზნებარე სიყვარულით, ღრმა ერთგულებით
გიძღვით, ვით დროშა, თქვენ ბელადის სიბრძნე მაღალი.

კრემლის დარბაზში მშობლიური შუქმონაფენი
მოგეგებებათ წინ სტალინი სახენათელი,
სტალინი ჩვენი მამა არის და მეგობარი.
გაუყვეთ! იგია განახლება, მზე, სიხარული!

და თუ წამოვა ჩვენზე მტრების ბრბო ვერაგული,
ვიბრძოლებთ ყველა, როგორც გმირი და მეომარი!

ჩვენი გამარჯვებისა იყვეს

შალვა დადიანი

როდესაც მზე სრულის თვისი დიდებულობით დაჰნათის დედამიწას და მის ცხოველ - მყოფელ სხივებზე პურის თავთავი დამწიფებულა, ყურძენი წითლად და ყვითლად ჰღუის, ბროწეული ტკბილად გახლეჩილა, ვარდიც სურნელებს; როდესაც ხალისიან სიმწვანეში ნარიხჯებით კალთა აუვსია თვითონაც გულსავსე კოხტა გოგონას და მის ფართოდ გაპობილ თვალებში სასიცოცხლო განცხრომა ზღვის ზვირთებივით ტორტმანებს და ზღაპრულ ფერიასავით თავისკენ გიწვევს, რა სჯობია მაშინ ბუნების ყველა ამ სიუხვეთა მოხმარებას?

მაგრამ გულს გიწყლულებს, წელში გტეხავს და წელს გადრეკინებს ის გარემოება თუ კი იცი, რომ შენის ოფლით მოწეულ პურს ვიღაც მუქთახორა, რაღაც მანქანებით შენზე უფრო ძლიერი წავართმევს, ყურძნის წვენსაც თვითონ მიირთმევს და ბროწეულის სიტკბოსაც თვით იგემებს. არც ამას დაგაჯერებს და კოხტა გოგოს გულმკერდსაც, შენკენ რომ ასე ეშხით მოისწრაფოდა თვით წაავლებს ხელსა და დაუნდობლად, შეიძლება შენი თვალის წინაც, გაჭქელავს და შებილწავს.

შეიძლება შენმა ვაჟკაცურმა ბუნებამ ეს ვერ მოითმინოს, ერთი დაიგმინო, ვეფხვივით [illegible] ალავს და სიცოცხლეს გამოასალმო მოძალადე. მაგრამ ეს შენ ოდნავ თუ მოგფხანს გულსა, ჰხედავ რომ ასე დაემართა შენს ძმას, შენს ბიძაშვილს, შენს მონათესავეს, შენს სოფელს, შენს ხალხს, მის დიდ უმრავლესობას.

და ასე დგეხარ საუკუნოებში გათანგული, ჩაგრული ადამიანო.

დგეხარ?

არა. საბედნიეროდ ესე აღარ დგეხარ.

მთელ დედამიწის ერთმეექვსედზე შენ უკვე დაგხარის სოციალისტური მზე **ლენინის და სტალინის** მძლავრი ხელით ამოგორებული.

აქ შენია ყოველივე სიუხვე ბუნებისა.

აქ გაქვს უფლება ბედნიერი შრომისა, სწავლისა და დასვენებისა.

ამ უფლებას შენ ვერავინ წაგართმევს. შინ აღარა გყავს არავინ მოძალადე. შენ სწორი ხარ თანასწორთა შორის.

მხოლოდ თუ მოგიხდა მტერი გარედან, რადგან გარეშე მტრები ჯერ კიდევ ბევრი გყავს, მაშინ ის ძალა, ძალა ერთობისა, რამაც შენ გიხსნა, თავისთავის ადამიანურ პატივისცემისა და შენი დიადი ქვეყნის სიყვარულისა, ლომად გაგხდის და ერთი მძლავრის ნახტომით იქვე საზღვართან ჩააქცევებ ვერაგ მომხდურსა.

ეხლა შენ უძლეველი ხარ.

სტალინური სიმართლის კანდელი გინათებს გზას.

შენი დევ-გმირული გულმკერდი ლაღად მიაპობს ისტორიულ, საუკუნოვან ნისლს თავის გარშემო, ჯანღსა და ბურუსს ირეკს.

მალე მიაღწევ იმასაც, რომ ეს დიდი მზე შენი ქვეყნისა გადაანათებს მთელს მსოფლიოს და თავისუფალ სიცოცხლეს მიანიჭებს ყველა ტვირთ-მძიმეთ და დაჩაგრულებს.

ამისთვის ღირს სიცოცხლე, ახალგაზრდებო!

ამისთვის ღირს თავისდადება, მოხუცებო!

და ნუ დავიშურებთ ჩვენს გარჯას, ჩვენს ნიჭს, ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას, რათა კიდევ უფრო ავაყვავოთ ჩვენი დიადი სამშობლო, მხნე დარაჯათ ვუდგეთ მას, კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს კი მოვანიჭოთ საბოლოო გამარჯვება, მაშ ამისთვისაც—

„ჩვენი გამარჯვებისა იყვეს!“

თქვენ სამუდამოდ სიმართლესთან დაგვაძმობილეთ

რევაზ მარგიანი

ბოლშევიკური ყრილობის დელეგატებს.

თქვენ სამუდამოდ სიმართლესთან დაგვაძმობილეთ,
აგრეთვე სიმართლე, ვაჟკაცობა, ნუ დაგელევათ,
თქვენ შეგვაყვარეთ, გაგვახარეთ და გვაგრძნობინეთ
ჩვენი სამშობლო და ნამდვილი ბედნიერება!

თქვენ გვაზიარეთ სიხარულთან საგალობელით,
თქვენ შეგვაყვარეთ გამარჯვება, ძმობა ხალხების,
მარადისობა მოგიზგიზე, ჩაუქრობელი,
მარადისობა ძმადშეფიცულ ბაირაღების;

თქვენ შეგვაყვარეთ სიხარული, ყმაწვილკაცობა,
სამშობლო ვრცელი—იაგუნდით ნაჩუქურთმევი,
და ბედნიერებს გულით დაგვაქვს დიდი მადლობა—
თვითონ ქართული შაირებით გამოუთქმელი.

დიდი ბელადი თქვენთან არის—გული ხალხების,
თქვენ ვაჟკაცურად მზეს შეჰფიცეთ და გეყვარებათ—
სამშობლო ჩვენი, ვაჟკაცური მისი სახელი,
ბედნიერება, გაზაფხული და ნეტარება.

საზღვარზე მყოფ ბიძაშვილს

სოლომონ თავაძე

მომენატრა შენებური
ღიმილი და თვალთა ბრწყენა.
შემოდიხარ, მოგაქვს ძმური
ტრფიალი და აღმაფრენა.
მთის ბიჭი ხარ, მკვირცხლი,
ლაღი,
გამოზრდილი თბილი კვერით;
დედის ნანას დაჰყურებდა
შეჭვარტლული ქოხის ჭერი.
მერმე, როცა შეეზარდე
ჩვენი ქვეყნის წინსვლას
გმირულს,
გულამაყად ფრთა გაშალე,
გზას გაჰყევი კომკავშირულს;
როცა ხვავი ხვავს დაერთო
ოქროსავით ზოდი-ზოდათ,
როცა ძმებმა სიხარულით
წამოიწყეთ დიდი ოდა, —
შენ სამშობლომ მოგიწოდა,
ჩიაშურე, დასდე ფიცი,
სთქვი: აქა ვარ, შენთანა ვარ
ყოველ ჭირში გამძლე ბიჭი!

მიდიოდი, შორი გზა გხვდა,
ვრცელ ზღვასავით გადაშლილი;
მიდიოდი, მიიმღერდი
ამირანის ქვეყნის შვილი...

მომენატრე... და დღეს, როცა
მომივიდა ეს ბარათი,
ჩემს ოთახში კვლავ აენთო
სიყვარულის მზე ჩირადი.
ვინ შეგძინა ეგ სიმტკიცე
და მხნეობა საოცარი?
ვინ ალგჭურვა ძალთაძალით,
უძლეველი საომარით?
ასე როგორ გაიზარდე
ეს პატარა სოფლის ბიჭი,
რომ მსოფლიოს გადაჰყურებს
გზაგახსნილი შენი ნიჭი!

აი ნატვრით თვალსა ვხუჭავ,
შევბით ვზივარ თვითმფრინავში,
მოვფრინდი და შორს დავტოვე
ძველი ზღაპრის ძველი რაში.
ტრფობით გიჭვრეტ საზღვრის
გუშაგს,
შაშხანა რომ გიდევს მკლავზე;
ზეცის ვარსკვლავს თვალი რჩება
შუქანთებულ შენს ვარსკვლავზე.
ღვივა ღამე, მტეხრავ ყინვას
გადუსარკავს ირგვლივ ველი;
ცაზეც ყინვის ნატეხსა ჰგავს
მთვარის დისკო საკვირველი, —
შენ კი ისე მიმოდიხარ,
არეს ზვერავ შეუმკრთალი,
თითქო მზიურ სითბოს გაწვდის
მოალერსე დედის თვალი.
მიმოდიხარ, ზვერავ არეს,
ლაღი ფიქრი ფიქრსა ქსელავს,
ნათლად ხედავ, რომ სოფელში
მშვიდად სძინავს, სძინავს ყველას.
დედა-შენს რომ ღიმი უკრთის,
სიზმარშიაც გივლის, გელის;
შენს სატრფოსაც წამწამებზე
დახვევია ძილის ქსელი.
შენ კი ფხიზლობ, გუშაგი ხარ,
ვარსკვლავეთის ელვით ბრწყინავ,
შენ მოგენდო, ვისაც ამ წუთს
სამშობლოში ტკბილად სძინავს.
მტკიცედ დგეხარ ორი ქვეყნის
ცეცხლოვანი ზოლის პირად,
ხედავ: მშობელს გაუზრდიხარ
სახელოვან ბრძოლის გმირად.
გზას გაჰყურებ, ბელადის მზე
შენი სულის არხევს სიმებს.
ღვივა ღამე... ცის ვარსკვლავი
მაგ შენს ვარსკვლავს
დაციმციმებს.

მალე მოხვალ. გელის სატრფო,
გელის დედა და ალერსი.
სხვებთან ერთად, ჩემო კარგო,
მეც შეგხვდები ახალ ლექსით.

მაღალხარისხოვანი საბავშვო ლიტერატურისათვის

კ. ჭანტურიშვილი

პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საბავშვო ლიტერატურის ფრონტს. სახელგამთან გასულ წლამდე არსებობდა საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექტორი. სექტორს ევალებოდა საბავშვო წიგნების გამოცემა, მაგრამ ახალგაზრდა მკითხველის მოთხოვნილების ზრდას აღნიშნული სექტორი ვერ აკმაყოფილებდა.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებით, 1938 წლის აპრილში დაარსდა საქ. ალკკ ც. კ-ის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა (საბლიტგამი). საბლიტგამის ფუნქციაში შედის აგრეთვე სასკოლო ბიბლიოთეკის ლიტერატურის გამოცემა. ამრიგად, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა ცალკე არსებობს მხოლოდ 1938 წლის პირველ აპრილიდან, მაგრამ მან ამ მცირე ხნის განმავლობაშიც შესძლო თვალსაჩინო მუშაობის გაჩაღება. 1938 წელს საბლიტგამმა გამოსცა 51 სახელწოდების წიგნი, აქედან სასკოლო ბიბლიოთეკისათვის—23 წიგნი, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურა—19 წიგნი და 9 წიგნი სკოლამდელთათვის. ამავე დროს საბლიტგამს დასაბეჭდად გამზადებული აქვს 52 სახელწოდების წიგნი.

გამომცემლობას სერიოზული მუშაობა დასჭირდა თარგმანის სიზუსტის დასაცავად. საბლიტგამი ცდილობს ნაწარმოებები უშუალოდ ორიგინალიდან სთარგმნოს. ამ მხრივ საბლიტგამმა დიდი მუშაობა ჩაატარა. ინგლისურიდან ითარგმნა ფ. კუპერის „უკანასკნელი მოჰიკანი", ფრანგულიდან—„პეროს ზღაპრები" და ა. დიუმას „სამი მუშკეტერი", გერმანულიდან—ძმათა გრიმების „ზღაპრები", ხელმეორედ ითარგმნა ა. დოდეს „ტარტარენ ტარასკონელი" და სხვ.

შარშან საბლიტგამს სასკოლო ბიბლიოთეკის გამოცემისთვის ქაღალდის ფონდი დამტკიცებული ჰქონდა 105 ტონის რაოდენობით, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურისათვის—20 ტონა, სკოლამდელთა ლიტერატურისათვის — 8 ტონა. როგორც ვხედავთ, სასკოლო ბიბლიოთეკას ჩვენი გამომცემლობის გეგმაში უდიდესი ხვედრითი წონა აქვს. საბლიტგამს უმთავრესად ამ წიგნების გამოცემაზე უხდება ძალ-ღონის დახარჯვა, მაგრამ ზემოაღნიშნული წიგნები ბაზარზე არ გამოდის გასასყიდად, მათ მხოლოდ სკოლის ბიბლიოთეკებს ვაწვდით, რის გამოც წიგნის ბაზრისათვის უცნობი რჩება ჩვენი გამომცემლობის საქმიანობის უდიდესი ნაწილი. ჩვენ განზრახული გვაქვს მომავლისათვის მაინც მოვაპერხოთ სასკოლო ბიბლიოთეკისათვის დამზადებული წიგნების ბაზარზე გაშვება, თუნდაც მცირე ტირაჟით. შარშან გამოვეცით ა. ჩეხოვის ცნობილი მოთხრობა „კაცი ფუტლიარში", მისივე „კაშტანკა", გოგოლის „მკვდარი სულები" და სხვ. მაგრამ არც ერთი მათგანი არ გამოსულა წიგნის ბაზარზე გასასყიდად. ამ წიგნების შეძენის მსურველნი კი ბევრი იყვნენ და უშუალოდ გამომცემლობას მიმართავდნენ თხოვნით.

საბავშვო ლიტერატურის ხაზით ყველაზე ვიწრო ადგილს ჩვენში წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს სკოლამდელთა ლიტერატურა.

ჩვენს სინამდვილეში საბავშვო წიგნებს, განსაკუთრებით სკოლამდელთა ლიტერატურას, დიდი მოთხოვნილება აქვს. ამ წიგნების მთელი ტირაჟი რამდენიმე კვირაში საღდება. ამ მხრივ ძალზე ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, რომ ჩვენი ბედნიერი ქვეყნის ბავშვთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ.

1939 წლისათვის ჩვენ უკვე გვაქვს დამტკიცებული საგამომცემლო გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა გამოვიდეს სასკოლო ბიბლიოთეკისათვის—40 სახელწოდების წიგნი, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურა—36 წიგნი, სკოლამდელთათვის—22 წიგნი.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით წიგნის შინაარსზე. მაგრამ წიგნს აქვს მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მხარე—გაფორმება. რაგინდ კარგი საბავშვო წიგნი იყოს, თუ ჯეროვნად არ იქნა გაფორმებული, ის მიზანს ვერ მიაღწევს.

სოციალიზმის ქვეყნის ბავშვთა მხატვრული გემოვნება არაჩვეულებრივად გაიზარდა. მათ სურთ იკითხონ შინაარსიანი, მხატვრულად სრულყოფილი და ლამაზად გამოცემული წიგნები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენ მეტ ყურადღებას ვაქცევდით ლიტერატურას სასკოლო ბიბლიოთეკისათვის. ამ წიგნებს დიდი ტირაჟით ვბეჭდავდით. 18.000 ცალად დაიბეჭდა შიო მღვიმელის რჩეული ლექსები, ვაჟა-ფშაველას და სხვა კლასიკოსების თხზულებანი. 4-5 ათას ცალად დაიბეჭდა: ილია სიხარულიძის „ოქტომბრის ყვავილები", მისივე „დობილი მელია და მგელი", მარიჯანის „პარაშუტი" და სხვ.

მხოლოდ ერთი წიგნი დავბეჭდეთ ბავშვთათვის დიდი ტირაჟით. ეს არის „ვეფხის-ტყაოსნის ფრინველები", რომელიც ლამაზად არის გაფორმებული და კარგ წიგნად უნდა ჩაითვალოს. თარგმანებიდან წელს უნდა გამოვცეთ ისეთი შესანიშნავი წიგნები, როგორიც არის ბიჩერ-სტოუს „ბიძია თომას ქოხი", მარკტვენის—„ტომ სოიერის თავგადასავალი". სვიფტის—„გულივერის მოგზაურობა", დისნეას —„სამი გოჭი". ტოლსტოის—„პატარა ბავშვებს" და „სამი დათვი", მარშაკის—„სულელი წრუწუნა", კვიტკოს—„წერილი ვოროშილოვს", ფაბრის—„ექსფეხიანები" და სხვ. ეს წიგნები უძვირფასესი საჩუქარი იქნება ჩვენი ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის.

ქართული მწერლობიდან საინტერესო წიგნებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი წიგნები: ი. გოგებაშვილის ერთი უპოპულარესი მოთხრობა „იავნანამ რა ჰქნა", ი. გრიშაშვილის „საბავშვო ლექსები", ორდენოსანი პოეტის ი. აბაშიძის „პატარა მეთევზე", ქართული ხალხური ზღაპრებიდან: „კურდღლის იაზმარი", „მელია და მწყერჩიტა", „გვრიტი", „ნაცარქექია". აღნიშნული წიგნების უმეტესობა ფერადი ილუსტრაციებით გამოვა.

გარდა ამისა, განზრახულია გამოიცეს: თ. რაზიკაშვილის ჯერ დაუბეჭდავი საბავშვო მოთხრობათა კრებული, შიო მღვიმელის ლექსები სასკოლო ასაკის ბავშვთათვის, ხალხური ზღაპარი „მებადურის შვილი", ცქვიტის მოთხრობები, რ. ქორქიას მოთხრობები სამოქალაქო ომის წარსულიდან, ორდენოსანი პოეტის ი. მოსაშვილის საბავშვო პოემები და სხვ.

იბეჭდება აგრეთვე სკოლებისათვის განკუთვნილი წიგნები. მაგ.: მ. გორკის — „ბავშვობა", მისივე —„ქალიშვილი და სიკვდილი", ა. ფურცელაძის—„მაცი ხვიტია", ორდენოსან პოეტის ა. მაშაშვილის—„ენგური", ჩ. დარვინის—„მოგზაურობა გემ ბიგლით", ი. ტინიანოვის „კუხლია", სალტიკოვ-შჩედრინის „რჩეული ზღაპრები", ა. დოდეს—„ტარტარენ ტარასკონელი".

უკრაინის დიდი სახალხო პოეტის ტარას შევჩენკოს საიუბილეო დღესთან დაკავშირებით ვცემთ ლამაზად გაფორმებულ მის რჩეულ პოემებს.

სახელოვანი კომკავშირის XX წლისთავისთვის გამოვეცით მხატვრული კრებული „სტალინურ თაობას". ჩვენი გამომცემლობის ფუნქციაში შედის კომკავშირის მასობრივ -პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემა. გამოვეცით ამხანაგ **ჟდანოვის** სიტყვა, წარმოთქმული კომკავშირის XX წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, მალე გამოვა ამხანაგ **კალინინის** წიგნი „კომკავშირის სახელოვანი გზა"; წელს გეგმაში შეტანილი გვაქვს და უნდა გამოვცეთ **ნ. კრუპსკაიას** „მოგონებანი ლენინზე", წიგნი ამხანაგ **სერგო ორჯონიკიძის** ახალგაზრდობის შესახებ და სხვ.

საბლიტგამი უნდა გადაიქცეს საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის ნამდვილ კერად, საიდანაც სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერ ბავშვებს უნდა ეძლეოდეს როგორც იდეურად, ისე მხატვრულად სრულქმნილი წიგნები, ამას კი მხოლოდ მაშინ შესძლებს საბლიტგამი, როდესაც უფრო მჭიდროდ შემოიკრებს საუკეთესო მწერლებს, მხატვრებს, გამოცდილ პედაგოგებს, კულტურულ ძალებს.

განახლებული ტფილისი

გიორგი ქუჩიშვილი

1

ისევ ტფილისი —
მისი ხედებით
ზეცა მტრედების
თვალებით მიმზერს.
გულგოროზ მეტეხს
მივაჩერდები
და ავმღერდები
ჯორჯიაშვილზე:
„დედავ, ნუ სტირი,
მამავ, ნუ სტირი:
მე მოვაშორე
ქვეყანას ჭირი".

. . . . .

მან სასტიკ დროში
ყუმბარის სროლით
ჯალათ გრიაზნოვს
მოუღო ბოლო...
ის ჩამოაღრჩეს...
გმირი მებრძოლი
ხალხის ხსოვნაში
სცოცხლობს სიმბოლოდ.
აგერ სარკმელიც:
სახე-მოღრუბლულს
თითქოს ვხედავდე
ლადო კეცხოველს...
ტყვიით ამოსწვეს
ნათელი შუბლი,
მკვლელი კი, მკვლელი...
დააჯილდოვეს.
მეტეხო!
შენს მკაცრ
ზღუდე-ნაპირებს
შეეხსნა რკინის
დახშული კარი,
სადაც საკნებში
დაბორკილ გმირებს
ესმოდათ მათზე
ყრუ მოთქმა მტკვარის.

2

დედა-ქალაქო,
სამშობლოს გულო!
ცეცხლი და ტყვია
თავს აღარ გაწვიმს.
მტერთაგან ხშირად
გადაბუგულო,
უძველეს წარსულს
მიყენებ თვალწინ:
მრავალნაომარ
შენს დუღაბ კედლებს
ზედ შეჰხმობია
სისხლი და ტვინი:
სჩანს, შენს რიცხვმცირე
ხმალშიშველ მხედრებს
შებმია ჯარი
ჯალალედინის.
ხან თემურლენგი,
ხან შაჰაბაზი
მოჰქროდა შენსკენ
ცეცხლეულ ქშენით;
ჩინგისყაენსაც
მძვინვარე ბრაზით
უოხრებიხარ
ძვლებით ნაშენი.

3

ახლა სულ სხვა ხარ:
ახალ დრო-ჟამით
ალუდეგ,
ახლდები
კიდით-კიდით
და მშვენდით იცავ,
დღისით თუ ღამით,
მას,
რისთვისაც შენ
მარად სისხლს ღვრიდი.
ალმშენებლობის
ალმავალ დენით
ისე მიარღვევ
კლდეთა და ღრეთა,
რომ ავჭალიდან
შენი კიდენი
კარს შეუღებენ
უხუცეს მცხეთას.

4

აჰა მშვენება
და სიამაყე,
აჰა ტფილისის
ჯილა-გვირგვინი:
ვარსკვლავთა კიბით
მის ბილიკს აჰყევ,
ამაღლდით მთაზე,
ალივსეთ ლხინით.
რა სვეტებია,
რა ბაღნარია,
რა ოქრო-ვერცხლის
ეფრქვევა წვიმა!
სინამდვილეა,
თუ სიზმარია:
ცაზე ეს კოშკი
ვინ წამოჭიმა?
რა საზღაპრო და
საოცარია.
ვის ხელმაც შექმნა,
დიდება იმას.
მყარ გრანიტიდან
გამოკვეთილი
აქ ქანდაკება
დგას დიდებული:
მტერთათვის რისხვა,
ჩვენთვის კეთილი,—
ხალხთა ბელადი,
სიბრძნით ქებული.

5

ჰოი, ქალაქო!
რა ძლიერია
შენი მსვლელობა,
შნო და იერი.
იყოს დღეგრძელი
ჩვენი ბერია,
შენი მესაჭე,
ნიჭმშვენიერი.
მიყვარს, ტფილისო,
შენი ცხოვრების
განუწყვეტელი
ღელვა,
დინება;
შრომის გუგუნი,
შეუპოვრობის
და არ ნახული
ბოლოძინება.

სამი ნაწარმოები საკოლმეურნეო სოფელზე

გ. ნატროშვილი

საბჭოების სრულიად - საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე დიდი **სტალინი** ამბობდა: „საბჭოთა გლეხობა — ეს სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია". აყვავებულ სოციალისტურ მინდვრებზე, ახალ საბჭოთა სოფელში, სადაც უკვე დამთავრებულია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და საბოლოოდ განმტკიცებულია საკოლმეურნეო წყობილება, დაიბადნენ ახალი ადამიანები. ჩამორჩენილობა და კლასობრივი ჩაგვრა აბნელებდა რევოლუციამდელი მშრომელი გლეხკაცის ცხოვრებას. სიხარულის ნატამალიც არ იყო მის ქოხში. უბრალოდ, უმიზნოდ და უაზროდ გაივლიდა ხოლმე ცხოვრება. არაფრით არ შეეძლო ემაყნა მას და თავი ესახელებინა. ძველმა ლიტერატურამ მკაფიოდ აღბეჭდა ამ გლეხის ბედშაობა და სიდუხჭირე.

და აი ამ გლეხმა მუშებთან ერთად მიიღო თავისუფლება, დაიმორჩილა უმაღლესი ტექნიკა და ისწავლა სახელმწიფოს მართვის რთული საქმე. მუშებსა და გლეხებს შორის, ინტელიგენციას შორის მიჯნები იშლება, თანდათან ჰქრება. და ჩვენს სამშობლოში, საითაც გაიხედავ, ყველგან ბედნიერებისა და სიცოცხლის აყვავების სურათები გადაგეშლებათ თვალწინ. ისტორიამ უდიდესი და [illegible] თემა წარუდგინა მწერლობას: ეს არის ახალი, თავისუფალი ადამიანი, ახალი ინტიმურ გრძნობებშიც და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც — თავისი რთული და ღრმა აზრით სავსე ცხოვრებით. რეალიზმის ბუნებაა— ისწრაფოდეს იმ სირთულისაკენ, რომელსაც ყოფისა და ფსიქოლოგიის, ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის ასახვა წარმოადგენს.

ასე ფართოდ, ისტორიულ ასპექტში გამოხატა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება ქართულმა საბჭოთა მწერლობამ. ჩვენმა საბჭოთა მწერლებმა შესძლეს ეჩვენებინათ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პროცესი ახალი გლეხობის დაბადებისა. აღნიშნულ თემაზე საბჭოთა მწერლებმა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოებით გაამდიდრეს ჩვენი ლიტერატურა, ქვემოთ შევეხებით მხოლოდ რამდენიმე მათგანს.

შარშან დაიბეჭდა ორდენოსან **დემნა შენგელაიას** მოთხრობა „შული". ეს არის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ იბადებოდა კოლმეურნეობა მთაში. მოთხრობა იშლება კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის ფონზე. მოკლედ, რამდენიმე გვერდის მანძილზე დაგვიხატა მწერალმა მთის სპეციფიურ პირობებში საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი წლები. ისე საუცხოოდ დახატა მწერალმა მთის ხალხის ყოფა, მოჯამაგირე მწყემსთა სულისკვეთება, მათი გაჭირვებული ცხოვრება კულაკთა ბრჭყალებში, რომ მკითხველი გრძნობს: საკოლმეურნეო მოძრაობის მარცვალი ნაყოფიერ და მომზადებულ ნიადაგზე ეცემა. და, მართლაც, თითქოს თვალით ვხედავთ, როგორ მჭიდრო წრედ იკვრება ღარიბი მეზობლების ჯგუფი ახალგაზრდა ალუდა ნაზღაიძის ირგვლივ, როგორ ერთდებიან ისინი, რომ თავი გაინთავისუფლონ კულაკის ბრჭყალებისაგან, სისხლის აღების ტრადიციებისაგან და გაბედულად გამოვიდნენ ახალი ცხოვრების ფართო და მზიან გზაზე. მაგრამ უბრძოლველად, ცხადია, არა კეთდება ეს დიდი საქმე. და მწერალი გვიხატავს გამძაფრებულ კლასობრივ ბრძოლას. ალუდა ნაზღაიძის ძმამ ხირჩლამ „ტაბარუკ მწყემსის რჯულსა და ჯილაგს უღალატა", ზედსიძედ შევიდა ბობოლა ციმიკაურის ოჯახში. და აი დგება მომენტი ციმიკაურის განკულაკებისა: ძმების ინტერესი უპირისპირდებიან ერთიმეორეს. საინტერესო იყო, როგორ გამოჩნდებოდნენ ვაჟაფშაველას და ალ. ყაზბეგის გმირები ახალ გარემოცვაში, ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში. დ. შენგელაიამ, დაიცვა რა მთის ხალხის კოლორიტი, გამოხატა რა ვაჟკაცური სული იმ ადამიანებისა, რომელნიც სათემო და საზოგადო საქმისთვის თავსა სწირავენ და ამ საქმის ღალატს არავის არ აპატიებენ, თუნდაც ის ღვიძლი ძმა იყოს, ამავე დროს გვაგრძნობინა ისიც, რომ ეს დღევანდელი მთიულები უკვე ძალიან დასცილებიან თავიანთ წინაპრებს, რომელნიც საშუალო საუკუნეების ადათებითა ცხოვრობდნენ და ხევისბერის სიტყვებში კოპალეს, გუდანის ხატის და ლაშარის ნებისყოფასა ხედავდნენ, დასცილებიან ისე, რომ ყველაფერი ვაჟკაცური და კეთილშობილური, რაც კი იყო ძველად მთაში, შეუნარჩუნებიათ და ახალი შეგნების ხარისხში აუყვანიათ. ახლა მათ კარგად ესმით თავიანთი კლასობრივი ინტერესები. „სტალინს უთქვამს, პირუტყვს კარგად მოუარეთო, — ეუბნება მწყემსს მოხუცი ბერდია. — შენც იცი, საერთო საქმეს მოვკიდებივართ და ეგეთ საქმეს საით ეღალატების? საშვილიშვილო საქმეს ჩავეჭიდეთ, დიდ საქმეს... ცხო გზა არა გვაქ!"

მწერლობის არცერთ ჟანრს არ შეუძლია ისე ყოველმხრივად, ფართოდ დაგვიხატოს საკოლმეურნეო სოფელი, როგორც რომანს. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ორდენოსან **ლეო ქიაჩელის** ახალი რომანი „გვადი ბიგვა". ეს ნაწარმოები დიდი ლიტერატურული მოვლენაა ჩვენს მწერლობაში. ლეო ქიაჩელმა მასში ცოცხლად დახატა საკოლმეურნეო სოფლის ადამიანები — მოხუცები და ახალგაზრდები, გვიჩვენა ახალი ადამიანების ახალი ფსიქოლოგია, დაგვიხატა ის სიძნელეები, რომელნიც წინ ეღობებოდნენ საკოლმეურნეო წყობილებას, ვიდრე იგი საბოლოოდ გაიმარჯვებდა. და მთავარი ამ რომანში ის არის, რომ ავტორმა მასში მხატვრული სიტყვის გამოცდილი ოსტატის ხელით დაგვიხატა პროცესი კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრისა ადამიანის შეგნებაში. სწორედ ამიტომ არის, რომ რომანში წინა პლანზე მოსჩანან ის ადამიანები, რომელთაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ დაუძლევიათ თავიანთ თავში კონსერვატიული ბუნება და ტრადიცია. ესენი არიან გვადი ბიგვა და გოჩა სალანდია. მართალია, ისინი არა ჰგვანან ერთმანეთს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი კონტრასტული ტიპები არიან, მაგრამ ორივეს მაინც დისონანსი შეაქვს კოლმეურნეობის ცხოვრებაში. გვადი ბიგვა რომანის მთავარი გმირია. ეს არის დეკლასიური ელემენტი, შრომას გადაჩვეული, ღატაკი და ცუღლუტი.

რატომ აირჩია ლეო ქიაჩელმა ეს ადამიანი რომანის მთავარ გმირად? მხატვრის მიზანი ნათელია: მას სურდა ეჩვენებინა როგორ კვდება ადამიანში საუკუნეებით შთანერგილი მონური ფსიქოლოგია და აილო ამისათვის ტიპი, რომლის ბუნებაშიც კონცენტრირებული იყო ყოველივე ის, რითაც სწამლავდა და სულიერად ამახინჯებდა ადამიანს ძველი, რევოლუციამდელი სოფლის ატმოსფერა. დიდი ოსტატობით აქვს დახატული ავტორს ის, თუ როგორ სწმენდს გვადის ფსიქოლოგიას ახალი ცხოვრება ძველი ქვეყნის ჭუჭყისა და სიბინძურისაგან. საკოლმეურნეო წყობილებისა და მისი სახელოვანი ადამიანების ზეგავლენით და ზრუნვით გვადი თავისი ცხოვრების მხოლოდ მეორმოცდაათე წელზე იგრძნობს ადამიანურ ღირსებას: პირველად იღვიძებს მასში მოქალაქეობრივი შეგნება და სიამაყე, იღვიძებს შრომის წყურვილთან ერთად. ერთის სიტყვით, ხელახლა იბადება ადამიანი. მის სოფელ ორკეთში ჩამოდიან მათი სოფლის კოლექტივთან შეჯიბრებაში ჩაბმული მეზობელი სოფლის სანარიას კოლმეურნენი. შეჯიბრებულნი საჯაროდ ირჩევენ კომისიას და აი უცებ ამ ზღვა ხალხში გვადი ბიგვას კომისიის წევრად ასახელებენ.

„თვალები დახუჭა გვადიმ.

„ვითომ ნამდვილად გვადის გამოუძახეს, თუ ვისმეს სხვას? იქნება სხვა მეორე გვადიც არსებობს ქვეყანაზეო".

გვადის სიხარულის, განცვიფრების და რაღაც გამოუთქმელი მღელვარების გამო თვალებზე ცრემლები ადგება. კომკავშირელი ქალი ნაია ხელს ავლებს მკლავში და ძალით მიჰყავს აივნისაკენ, სადაც სოფლის თავკაცები დგანან. გზადაგზა, თითქოს მოსთქვამსო, ისე ლუღლუღებს გვადი: „ხალხში გამრიეთ, ჭირიმე, არა? ულირსი რომ ვარ, მაინც მაღლა ამწიეთ, არა? კაცათ მიცანით და პატივი დამდეთ".

საუცხოოდ აქვს აწერილი მწერალს გვადის სულიერი მღელვარება. როცა შინისაკენ მიეშურება, გვადის ნაცნობი, ათასჯერ ნახული გარემოც კი ვეღარ უცვნია. „მისი ცხოვრების სინამდვილე ისე იყო აყირავებული და მისი აზრები ისეთ ვეება ნახტომებს აკეთებდნენ, რომ გვადის მთელი დედამიწაც კი ეცოტავებოდა მათ დასატევად". იმავე დღეს გვადი კოხტად გამოწყობილი ესტუმრება მეზობელ ქვრივ მარიამს. მას ახლა ყველაფერი უხარია და ამ საოცარი გარდაქმნის შემდეგ ყველაზე ძლიერ გული ამ მეზობლისაკენ მიუწევს. „მითქვამს და დაიხსომეთ: არც ერთ დამკვრელს ჩემზე წინ არ გაუშვებ... ბედნიერება მინდა, მარიამ... სიყვარული და სიცოცხლე მინდა", ეუბნება გვადი მარიამს, ის გვადი, რომელიც საქვეყნოდ ყბადაღებული იყო როგორც ცუღლუტი და არაფრის მაქნისი კაცი. ყველაფერს ამას გვადი ამბობს რაღაც უცნაური აღგზნებით და გატაცებით. „მკერდიდან ისეთი ხმა ამოსდიოდა, — გვეუბნება მწერალი, — თითქოს მის სიღრმეში დანთებული ცეცხლის გურგური ამოაქვსო". და იმავე ღამეს გვადი, დანაშაულზე წაასწრებს რა კლასობრივ მტერს, არჩილ ფორიას, რომელიც კოლმეურნეობის სახერხი ქარხნის დაწვას აპირებს, დაუყოვნებლივ შეებრძოლება და ამ ბრძოლაში თავისი ყოფილი ნაბატონარი შემოაკვდება.

„გვადი ბიგვაში" გადმოცემულია ბოლშევიკური სიმართლე საკოლმეურნეო სოფლის შესახებ. ამ ნაწარმოებში გერას, ნაიას, ქვრივი მარიამის სახით ლეო ქიაჩელმა დახატა ახალი სოფლის ახალი ადამიანები, რომელთა შემოქმედებითმა შესაძლებლობამ თავისუფალი გასაქანი ჰპოვა სოციალიზმის ქვეყანაში და რომელთაც სოციალისტური ცხოვრების სილამაზე დაამკვიდრეს შრომაშიც, დასვენებაშიც, ოჯახში და სიყვარულში. ახალი ადამიანის სულის ფორმირებასთან ერთად რომანში ნათლად ასახულია საკოლმეურნეო სოფლის მატერიალური და კულტურული აღმავლობა. ამ ახალი სოფლის წარმტაცი პეიზაჟი მოსჩანს იმ სურათში, რომელიც რომანის ერთ-ერთ გმირ ქალს — ელიკოს დაუხატავს: მანდარინისა და ლიმონის ხეივნები, ჩაის ქოჩორა ბუჩქები ბიბინებენ, საქარხნო მილები აღმართულან, ახალ მშვენიერ გზებზე თავამდე დატვირთული ავტომანქანები გამწკრივებულან და ძველი ქოხების ნაცვლად მაღალი ოდების სილუეტები მოსჩანან.

ლეო ქიაჩელის ეს ახალი რომანი სოციალისტური რეალიზმის სტილის დიდი ნაწარმოებია.

მიმდინარე წელს გამოქვეყნდა **ალ. ჭეიშვილის** რომანი „ლელო".

„ლელო" ალ. ჭეიშვილის პირველი ნაწარმოებია. ამ რომანის სიუჟეტის მთავარი ძარღვი — სიყვარულია. ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარული — ეს, შეიძლება ითქვას, საერთოდ ძველი დროიდან რომანის მარადიული სიუჟეტია. ამიტომ არ არის მოხსნილი შესაძლებლობა იმისა, რომ ახალი ნაწარმოები ამ თემაზე იყოს ერთი უბრალო, მორიგი ვარიაცია უკვე ნაცნობი, უკვე ბევრჯერ წაკითხული ვნებებისა და სიხარულისა. ეს სრულიად ადვილად შეიძლება დაიმართოს იმას, ვინც თავის წიგნებს მარტო ლიტერატურის მიხედვით ჰქმნის, ვინც თავის ტიპებს მარტო ლიტერატურიდან სესხულობს. თვით ცხოვრება კი მარად ახალია, დღევანდელი მაღალია გუშინდელზე თვისობრივად. ეს მით უმეტეს ითქმის დღევანდელ ახალგაზრდობაზე, რომლის ცხოვრება ჭეშმარიტად უმაგალითოა, რომლის სიყვარული თავისუფალია ყველაფერ იმისაგან, რაც კაპიტალიზმის პირობებში ამახინჯებდა, ბილწავდა ამ გრძნობას. დღევანდელი მწერლის თვალწინაა კეთილშობილური და მაღალი გრძნობის ადამიანი, საზოგადოებრივი ადამიანი, რომლის ცხოვრება არ მიდის უთვისტომოდ და კარჩაკეტილად. ამ სიახლის შემჩნევა, დანახვა შესძლო ალ. ჭეიშვილმა. მისი რომანის გმირები იმკვიდრებენ საკუთარ ადგილს და თითქოს ცოცხალნი წარმოსდგებიან ჩვენს თვალწინ. ნაწარმოებში სჩანს ერთგულება თემისა და მასალისადმი, სიყვარული თავის გმირებისადმი, რამაც შესაძლებლობა მისცა ჭეიშვილს, რომ თითქოს სავსებით უბრალო, მიამიტი ქალ-ვაჟის სიყვარულის ფაბულაზე გაშლილ რომანში ეჩვენებინა ახალი სოფელი, მოეცა ჩვენთვის ადამიანური ვნებებისა და გრძნობების ფართოდ დამტევი და გამომსახველი ნაწარმოები.

რომანში გურული სოფელია აღებული. პირველ ფურცლებიდანვე ჩვენს თვალწინ სდგება სამივე მთავარი გმირი რომანისა — ციცინო, ქიშვარდი და ბონდო. ავტორი გვიჩვენებს იმ გულწრფელ ურთიერთობას, რომელიც ციცინოსა და მის მოტრფიალე ახალგაზრდა სოფლელ ბიჭს შორის მყარდება. ეს ნამდვილი სოფლელი ახალგაზრდობაა, ნახევრად ინტელიგენტი, ნახევრად გლეხი თავისი ორიგინალური ალბომებით, თავისი უშუალობით, თავისი მხიარულებით. მათი სიყვარული თავისუფალია ყოველგვარი ანგარიშისაგან, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა მათი დაახლოვება. ხელის შემშლელია ბონდო — ეს სოფლელი ავარის, თავქარიანი და თავზე ხელაღებული ბიჭის ტიპი. მაგრამ რაღაცა არის ბონდოს ბუნებაში ისეთი, რაც ახალგაზრდა ქალიშვილს უცნაურ მღელვარებას განაცდევინებს. ქიშვარდი მარჯვე და თამამია ყველგან, მაგრამ გულჩახვეული სიყვარულში. ის ანიშნებს და არ გამოსთქვამს. სიყვარული ერთს ამუნჯებს და მეორეს მჭერმეტყველად ხდის. ამ ნიადაგზე იშლება ორი ახალგაზრდის მეტოქეობა ქალის სიყვარულის უფლებაზე. ეს არის რომანის სიუჟეტის ხერხემალი.

ვიდრე ესენი, როგორც ძველად იტყოდენ ხოლმე, ტრფობის ალმურში იწვიან, ცხოვრება თავისი გზით მიდის. იზრდება სოფელი მათთან ერთად. ამ რომანის გმირებთან ერთად, ეს ზრდა განუყოფელია, ერთი პროცესია. სოფელი აქ უბრალო ფონი კი არ არის, მთავარი გმირია. ქიშვარდის ბუნებაში საზოგადო საქმის სიყვარული და ქალისადმი ტრფიალება გაერთიანებულია, გადახლართულია ერთი მეორეში. ქიშვარდის წაქეზებით სარეკორდოდ ემზადება ციცინო, ზღვასავით ჩაის მოგიყვანო, — ჰპირდება ქიშვარდი. ციცინოსაგან საიდუმლოდ ამზადებს იგი პლანტაციას და რაღაც გამოუთქმელი სიხარულით შეჰხარის მობიბინე ჩაის. და აი სარეკორდო კრეფის დღეც დგება. ეს თითქოს მშრალი თემაა — ჩაის კრეფა, მაგრამ ისე ცოცხალია, ისე მიმზიდველი ეს სურათი, რომ მკითხველი თითქო საკუთარი თვალით ხედავს საამაყო შრომაში გართულ, ღიმილით სახე-გაბადრულ ქალიშვილის სარეკორდო მუშაობის ლამაზ სურათს, თითქოს თვალს ადევნებს მისი თითებისა და ტანის მოძრაობას. ყველაფერი მუშაობის რიტმს აუტანია. სამხიარულო, სადღესასწაულო, ბარაქიანი შრომის რიტმს. ამ რიტმსა გრძნობს მკითხველი და თითქოს თავმომწონე ბიჭისა და შრომაში გამარჯვებული ქალიშვილის გულის ცემასაც გრძნობს.

ასეთი სურათი რომანში ბევრი გვხვდება. ალ. ჭეიშვილმა სცადა დაეხატა გურია არა მარტო შრომაში, არამედ გართობაშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია პლასტიური სურათი ლელო-ბურთის თამაშისა. ამ სურათში მასობრივი ექსტაზიც მოსჩანს, რომელიც ამ საჯარო თამაშს განუყრელად თან სდევს.

კარგად დახატული ტიპები არიან მოხუცი კოლმეურნენი.

მკვეთრი სატირული ტონი აქვს აღებული ავტორს განადგურებული ექსპლოატატორული კლასის — კულაკობის უკანასკნელი წარმომადგენლების დასახასიათებლად. ამ ტიპებიდან მთავარია სილიბისტრო ქილიფთარი, რომელსაც გაიძვერაობით, ეშმაკობით, ვერაგობით დაუწყია ცხოვრება და ასევე ამთავრებს. კარგად არის დაწერილი ეპიზოდები — მისი ეზოს გაზომვა, შვილთან გაყრა, წვევამდელებთან მიხტომა. მკითხველს ახსოვდება ეს ნამდვილი სახე ჩარჩისა, რომელიც მასხლობით სწონის ისლში და ტალახში შესვრილ თოვლს, — სწონის გასაოცარი სიზუსტით იმ დროს, როდესაც მისი მეზობელი სიცხისაგან სიკვდილის კარზეა მიმდგარი.

ამ დადებით მხარეებთან ერთად, რომანი სერიოზულ ნაკლულევანებასაც შეიცავს. ფურცლიდან ფურცელზე გადადის გაუთავებელი და გადაჭარბებული თვითანალიზი გმირების ფსიქოლოგიური განცდებისა. ამას გარდა, რომანი ვერ არის შეკრული მაგრა, ალაგ-ალაგ ის თეთრი ძაფით დაბლანდულის შთაბეჭდილებას სტოვებს. ნაწარმოები დაუხვეწელია. ავტორი ზოგჯერ ვერ იმორჩილებს უხვ და მდიდარ მასალას, ვერ არჩევს დამახასიათებელს, ახუხულავებს ყველაფერს, შეაქვს რომანში ესა თუ ის ეპიზოდი, მაგრამ მისი მოტივირება არა სჩანს. აი ერთი მაგალითი: რომანში მხოლოდ ერთ ადგილზე, მხოლოდ ერთ გვერდზე ჩნდება სოფლის კანცელარიის დარაჯი თომა (ამბავი ხდება მსოფლიო ომის დროს); თომას დანიშნულება რომანში ისაა, რომ ცნობა მიუტანოს დედას კარპატებში მისი შვილის სიკვდილის შესახებ. ავტორი აგვიწერს, რომ საოცარი სიარული იცის თომამ, რომ ხელში ორკაპი ჯოხი უჭირავს და წელში ისეა მოხრილი, რომ სახის მაგიერ ბეჭები და მოტვლეპილი კეფა მოუჩანს, და სხვა და სხვა. ეს დეტალები სრულებით არ არის საჭირო. ვთქვათ, თომას ორკაპი ჯოხი კი არა, უზარმაზარი კეტი უჭირავს ხელში, მოტვლეპილი კეფა კი არა აქვს, თმაქოჩორა ბიჭია. რომანში ამით არაფერი შეიცვლებოდა. ამ ეპიზოდური გმირის დანიშნულება მხოლოდ ის იყო, რომ ეცნობებინა დედისათვის შვილის სიკვდილი. ავტორი კი რაღაც სრულიად უინტერესო და არა საჭირო დეტალებზე გვაჩერებს, და ეს გამონაკლისი როდია. დეტალი კარგია მაშინ, როცა ის სახასიათოა და არა მაშინ, როცა ის რომანის შინაარსად იქცევა ხოლმე.

საერთოდ კი გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ „ლელო" საინტერესო რომანია. ავტორს აქვს ფხიზელი რეალისტის თვალი და უნარი, შესწევს ძალა დაინახოს და გამოხატოს ქვეყანა და ადამიანი თავის მრავალფეროვნებაში. ქართულ საბჭოთა ლიტერატურას, რომელიც გვიჩვენებს სახელოვან სოციალისტურ ადამიანებს, ამ რომანმა რამდენიმე მშვენიერი სახე მიუმატა.

რიონის დამორჩილება*

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

მარტივით ცვალებადი გუნების გახდა იორდანე. შეშის დალუპვის შიშით რამდენჯერმე შეიცვალა აზრი ამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე. მარინესაც ვადაედო ქმრის სენი. როცა იორდანე მოქამულ გუნებაზე იყო, მასაც ცხვირპირი ჩამოსტიროდა. მის გამხდარ პირისახეზე კეხიანი ცხვირი ილბუზის მწვერვალივით იდგა. წარბები მოღუშული ჰქონდა, შუბლზე ნაოჭებს დასთვლიდა კაცი... თუ იორდანე კარგ გუნებაზე იყო, მარინეს სიხარულს აღარ გააჩნდა საზღვარი. ცხვირი უპატარავდებოდა, წარბები გაფრენილ თოლიას სილუეტს ემსგავსებოდა, იცინოდა, ზოგჯერ ხუმრობდა კიდეც...

მხოლოდ ბავშვები არ ემორჩილებოდნენ მშობლების სულიერ განწყობილებას. ნუნუ და გოჩა მუდამ იმის ზრუნვაში იყვნენ, როგორმე ხალისიანად გაეტარებინათ ზაფხულის ცხელი, მაგრამ კეკლუცი დღეები. დილით, მუდამ რიონის პირად ცელქობდნენ. საღამო ხანის დროსტარება მშობლების გუნებაზე იყო დამოკიდებული: თუ მშობლები მოღუშული ისხდნენ, ბავშვები მუნჯურად კრტიმლობდნენ. ფეხს ფეხზე აჭერდნენ, ან გვერდში ჩქმიტდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ ნუნუ ტკივილს ვერ უძლებდა და მოულოდნელად მორთავდა ღრიალს. გოჩას ფხუკუნი აუვარდებოდა და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, რომელი კარიდან გავარდეო...

გოჩა მუდამ ცელქი და მოუსვენარი იყო. ციებ-ცხელებამ ორივე, და-ძმა, ჩამადნო და ზაფრანასავით გააყვითლა. მაგრამ როცა ციებას მოიხდიდნენ, გოჩა მიწაზე აღარ აკარებდა ფეხს. რომ ვარბოდა, გეგონებოდათ, მიფრინავსო. დამჯდარიც ვერ ისვენებდა, თვითონაც ფართხალობდა და თავის მოუსვენრობით სხვასაც თავს აბეზრებდა. ნუნუ ცდილობდა დინჯად ყოფილიყო მშობლების დასანახავად, მაგრამ დაუდეგარი გოჩა ნუნუსაც არ აძლევდა მოსვენებას. სიცილს რომ ვეღარ შეიკავებდა, ნუნუ თითზე იკბენდა ან მკვდარ ძმას, გივის, მოიგონებდა და მოიწყენდა. მაშინ იორდანეს რისხვა გოჩას თავზე გადაივლიდა. გაბრაზებული გოჩა ნუნუს სთავაზობდა მალულსა და დაუმსახურებელ მუჯლუგუნებს.

— რათა მცემ? — აღრიალდებოდა ზოგჯერ ნუნუ.

— ლობიო!.. ცამეტი წლის ქალს არც კი სცხვენია ტირილის. ი-იი-იი! — აჯავრებდა გოჩა.

— რა დაგიშავე? — ზლუქუნებდა გულამოსკვნილი ნუნუ.

— როცა მე ვიცინი, შენც ამოიღე ხმა... შენც ხომ მეთამაშები?! მარტო მე რად მცემენ?

იორდანეს სიცილი წასკდებოდა. გუნებას იცვლიდა და ხშირად მოფერებით და თავზე ხელის მოსმით თავდებოდა გოჩასთან მამაშვილური ჩხუბი...

დღეს მხიარულ გუნებაზე დაბრუნდა იორდანე. ფაცხის კარი შეაღო თუ არა, მარინეს ჰკითხა: ვახშმად რა გვაქვსო.

დღის სინათლეზე ივახშმა და ლოგინი გამიშალეო, სთხოვა მარინეს. ხშირბინდის ჩამოწოლისას იორდანეს უკვე ეძინა.

* * *

ღამე გავრძელდა. იორდანეს რა ხანია ღვიძავს. უკვირს: სინათლე რატომ არა ჩანს ჭვრიტიმალებშიო. მამლებიც იგვიანებენ. ლოგინი კი თანდათან გაუტკბა. სიგრილეც იგრძნო გათენებისას და საბანში მაგრა გაეხვია.

სინათლე იგვიანებს. იორდანეს აზრი და გონება საყადლებს უტრიალებს გარშემო, ავტოების ჩამოდგომას ელოდება... ავტო იგვიანებს. მთავარი ინჟენერი დურბინდით გასცქერის მოუკენჭავ შარას. იორდანეს ბიმედებს. ჩოჩქოლი არღვევს მყუდროებას.

თვალს ახელს იორდანე.

შხუილი ისმის.

უაზროდ წამოხტება და გარბის. გარბის ფაცხის კარისკენ...

იორდანე დევგმირივით დაეძგერა ფაცხის ჭრიჭინა კარს. თავი გარედ გაჰყო და გველნაკბენივით დაიგმინა:

„ცა ფეხად ჩამოდის"-ო.

ეზოში ტბა იდგა... იხვები დადლანით იკლებდნენ იქაურობას. შეხაროდნენ გაავებულ ტაროსს და ფრთების ტკრციალით ჰყუმპალაობდნენ მღვრიე აუზში.

ბაღჩის ღობეზე დაჩაირებული თხა შვილდივით მოხრილიყო.

— ჩამოიქცეი ბარემ! — ძლივს მოიბრუნა სული იორდანემ.

მარინემ იორდანეს ბუზღუნზე თვალი გაახილა. ძლივს აართვა თავი დილის ტკბილ სიზმრებს. გოჩას და ნუნუს ჯერ კიდევ დაბანგულებივით ეძინათ.

— წვიმს?

— წარღვნა იწყება, — უპასუხა იორდანემ. — წინად როდის მწყალობდა ბედი!... ამ ოჯახაშენებულს რომ ავტო არ ეთხოვებია, ცვარი არ ჩამოვარდებოდა...

იორდანემ საწვიმარი მუშამბა წამოიხურა და ეზოში ვავარდა თხის მშრალზე გადმოსაყვანად...

ასეთი თქეში კარგა ხანია არ ახსოვს იორდანეს. ცაში ატყორცნილ შუშის მილებს მოგაგონებდათ ცერის სიმსხო კამარა... ლაფარეს საშხეფი ფაცხის კარამდე აღწევდა. პარმაღი მორწყულს წააგავდა. მოკუპრული ცა გადაღების იმედს არ იძლეოდა. ქარი აძლიერებდა თქეშს. ხან ზენა წამოუქროლებდა, ხან ქვენა გაჰკიოდა მშობიარე ქალის ცივი ხმით... თვალმისაწიერი ნისლით შეფუთული.

იორდანემ ძლივსძლივობით დაინახა რიონის კალაპოტი. ნისლი და ჯანღი დაბლა მოიწევდა. გურიის მთები მარმაში გახვეულ დევგმირებს წააგავდნენ. დევგმირები თითქო ზურგებით ეჯახებოდნენ ერთმანეთს. ამ დროს იელვებდა და ისმოდა მოგუდული გრუხუნი. სვანეთის მთებისაკენ ცა ოდნავ პირმოღიმარი მოსჩანდა. ამიტომ იყო რიონი წყნარი და უშფოთველი. გაღმა-გამოღმა ნაპირები ამღვრეოდა მხოლოდ. შუატანამდე ნიაღვარს ვერ მიეტანა ძალა...

იორდანემ იფიქრა: სანაპირო წვიმაა და, ალბათ, ჩქარა გადაიღებსო. ფაცხის პარმაღში დაეყუდა და ისხარ წვიმას მიაჩერდა, როდის შენელდებაო.

დრო გადიოდა. თქეშის ძალა უცვლელი იყო...

საღამოჟამს ქარი ჩადგა... წვიმა ისევ ხმაურით ჩამოდიოდა.

დღე დღეს წაება... შვიდი დღეღამე იწვიმა განუწყვეტლივ. ტროპიკულ ქვეყნებში იცის ხოლმე ასეთი დოვლათიანი წვიმები.

დღეს ათი სექტემბერი იყო.

სექტემბერში იწყება ეგვიპტის სამთვიანი წვიმებიც...

— დალპა ყველაფერი! — ბუზღუნებს იორდანე.

მართლაც, ნალექის ოდენობა ყოველგვარ საზომს გადასცდა. მიწა ისე გაიჟღინთა, ფეხის დადგმას ვეღარ უძლებდა. უზნეო ბავშვივით იცრემლებოდა.

ჭალებსა და ღორღოღორო ადგილებში წყალი დგას. ყოველ ხის ძირას ნაკადული ჩქეფს. მერვე დღეს გამოიდარა. წარღვნა შეჩერდა, მაგრამ ახლა რიონი იმუქრება სიდომითა და გომორით. სოფლის დედაკაცები აღარ იწყევლებიან — ჩაპალიასტომდიო. შიშით თვალი ვერ დაუხუჭავთ, წყალმა არ ამოხეთქოსო. ცალკე რიონი აწვება ნაპირებს: მარჯვენა ძალზე მონგრია. სასოფლო შარა ჩაიტანა. იორდანეს ეზოსაც შემოუტია. მეშვიდე დღეს ჭიშკარი მოთხარა და შეჩერდა. ასე სწრაფი და ამტუტებული ჯერ არ უნახავთ რიონი. ასეთი ნადავლით კარგა ხანია არ ჩაუვლია რიონს ჭალადიდის მიდამოებში. მთელი სოფლები მას მისჩერებიან: მოაქვს ძირიან-ფესვიანი ხეები. უზარმაზარი ნიჟვზები და ცაცხვები. სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ტყეებიდან გამოტაცებული ტივები... წისქვილები. ოდა-სახლებიც.

იორდანეს თვალწინ, რუმბივით გაბერილი კამეჩიც ჩამოატარა გაშმაგებულმა მდინარემ. აგერ, ქილოფას ქუდს მოათამაშებენ ზვირთები. ქუდის პატრონი აღარსად სჩანს. თუნდაც გამოჩნდეს სადმე... მძვინვარე ლომს ხელს ვინ ახლებს გაჯაჯილ ფაფარზე?!

რამდენის წყევლა-კრულვა მოსდევს რიონს დასაბამიდან. რამდენ ქვრივ-ოხერს დაუპოტნია ლოყები რიონის ნაპირებზე. რამდენი მენავე და მებორნე შავ ზღვაში შეუტანია. რამდენი მეთევზე ჩაუყლაპავს მის ფსკერზე მონავარდე ვეშაპებს... ქვეყანა შესჩივოდა რიონს. ქვეყანა აღშფოთებული იყო ონავარი რიონის მტაცებლობით.

დღესაც რამდენი შეჭყურებს ზიზღით მის თავხედ ტალღებს, თავგასული ფეოდალივით რომ დასეირნობს გურია-სამეგრელოს მიდამოებში... მაგრამ...

მაგრამ რიონის ხულიგნობას ბოლოს ვინ მოუღებს?

„აქ კიდევ ამტკიცებენ, რიონს შესართავი უნდა გამოვუცვალოთო", — გაუელვა იორდანეს და სისხლიანი თვალები გააყოლა აფუშფუშებულ ტალღებს.

ფასის მთიდან მუქარით გამოქანებული რიონი, გზადაგზა იკრებს უამრავ ლაშქარს. რაზმავს თავის გარშემო და მიექანება შავი ზღვისაკენ. ქუთაისს ქვემოთ ყვირილა უერთდება ზემო-იმერეთის ჩანჩქერთა ლაშქრით. ორპირში ცხენისწყალს ჩამოჰყავს სვანეთის კრიალა ნაკადულები. სამეგრელოდან აბაშა და ტეხურა უმართავენ ხელს, გურიიდან — ხევისწყალი...

ჭალადიდს მიახლოვებული რიონი ნილოსს გააწბილებს მრავალწყლიანობით. შლამის ოდენობით ხომ რიონს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიო მდინარეთა შორის... ეგვიპტელებს ტყუილა შეურქმევიათ ნილოსისთვის ოზირისი (ნოყიერების ღმერთი). ნამდვილი ოზირისი კოლხეთის მიწის შვილი ყოფილა, სახელად ფაზის...

ერთხელ კიდევ შეხედა იორდანემ ტალღებს. მწარედ ამოიოხრა.

— რამდენი სასუქი ილუპება უსარგებლოდ... ზღვას სასუქი რად უნდა?

არხი მოაგონდა. საკოლმეურნეო უბანი. შეშის საყადლებთან გაშლილი კარვები. მევრულ ნაბადზე წამოწოლილი კახაბერი.

შვიდი დღეა არხისკენ არ გაუხედავს იორდანეს. ეზოშიც კი არ გამოსულა. ქვეყნის დაქცევის მოლოდინში ფაცხას არ მოშორებია. მზის ჭიატი რომ დაინახა გული აღარ დაუდგა შინ. ჭაობს მიაშურა. ზოგან მუხლამდე სწვდება ჯერ კიდევ გაუშრობელი შლამი. აქა-იქ შემაგრებულა კიდეც. კაცის სიმძიმეს უძლებს.. იორდანე ფეხაკრეფით მიდის, თითქო წაყინულ თოვლზე კურდღელს მისდევს და თოვლის ჩახეთქისა ეშინიაო.

აგერ, არხიც, უკანასკნელი სამუშაოები.

იორდანემ პირჯვარი გამოისახა. უსაზღვრო განცვიფრების ნიშანი იყო ეს სარწმუნოებრივი ჟესტი.

განსაცვიფრებელი მართლაც ბევრი რამ დაინახა იორდანემ. აღარსად სჩანდა იორდანეს ხელით მოჭრილი და ერთმანეთზე მიხერგილი თხმელები. აღარსად სჩანდა დიდის ვავლახით დაწყობილი შეშის საყადლები. არც ჭაობი, არც პარაზიტი ღელე... მწვანე ჟალტაში სადღაც გამქრალიყო. ტყე წელამდე ჩაექოლა რიონის სტიქიას. შლამი მეტრის სიმაღლეზე დამდგარიყო, ზოგან მეტრნახევარისაც...

— ვაი ნაკვდავო!

ეს სთქვა და ენა გაუქვავდა. ხელები გულზე დაიკრიფა, თითქო ვინმე მახლობლის ცხედარი ესვენაო მის წინ. აცრემლებას აღარაფერი უკლდა. იქვე მოფუსფუსე მუშებს არც კი შეხედა.

მოშორებით კატერპილერი დუგდუგებდა. პარაზიტ ღელის ადგილას რეფულერი ქშიტინებდა. რეფულერი მშიერი ვეფხივით ალებდა ხახას და ნაპირისკენ ეზიდებოდა დამტლულ ტლაპოს.

კახაბერმა თვალი მოჰკრა იორდანეს. თითი დაუქნია.

— როგორ ხარ? — შეაგება, როცა იორდანე ათიოდ ნაბიჯზე მიუახლოვდა.

— ?!

— გეტყობა, ზარალს დარდობ!

— დარდი რას მიშველის... ორი შვილი და ოჯახის მარჩენალი ცხენი ამ ჭაობში ჩავმარხე. ახლა შეშაც მიემატა... ეჰ, ჯანდაბას!!

ატირებას აღარაფერი უკლდა.

კატერპილერს მიაპყრო თვალი. მემანქანეს შურით შეხედა.

შეეხარბა მისი ხელობა...

---

*) ნაწყვეტი რომანიდან: „ახალი ხმელეთი".

ნიკოლოზ ასეევის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავი

მოსკოვის ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ იდღესასწაულა ცნობილ საბჭოთა პოეტის ნ. ასეევის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავი.

1914 წელში ასეევმა გამოსცა ლექსების პირველი წიგნი „ღამის ფლეიტა". ერთი წლის შემდეგ გამოვიდა მისი ლექსების მეორე წიგნი „ოქსანა", რომელმაც პოეტს სახელი მოუხვეჭა. ჩვენი დროის უდიდესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკისთან დაახლოვებამ ასეევზე საგრძნობი გავლენა მოახდინა. ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავზე პოეტმა გამოაქვეყნა ლირიული პოემა სამოქალაქო ომზე „სემიონ პროსკაკოვი". ასეევის მრავალი ლექსი დიდი პოპულიარობით სარგებლობს, ზოგი მათგანი მასობრივ სასიმღერო ლექსად გადაიქცა.

ასეევის შემოქმედებითი გზა არის აშკარა გამოხატულება საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნაწილის მისწრაფებისა თანადროული თემების დაუფლებისაკენ, დაუღალავი სწრაფვა ხელოვნების უმაღლესს პრინციპულობისაკენ, დიდი მხატვრული სიმართლისაკენ, სოციალისტურ რეალიზმისაკენ.

ნ. ასეევი ცნობილია, როგორც არა მარტო თანამედროვე ლექსის ერთერთი საუკეთესო ოსტატი. პოეზიის თეორიის საკითხებზე მას დაწერილი აქვს რამდენიმე თვალსაჩინო შრომა „ჩვენი რჩთმა", „სუჟეტის გასაღები", „პოეტის პროზა". ასეევი ამავე დროს არის მაიაკოვსკის შემოქმედების ერთიერთი საუკეთესო კომენტატორთაგანი.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ნ. ასეევი მუშაობს პოემაზე „მაიაკოვსკი იწყება".

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო ღვაწლისა და მიღწევებისათვის საბჭოთა მთავრობის მიერ ნ. ასეევი დაჯილდოვებულია ლენინის ორდენით.

ნიკოლოზ ასეევის საღამო

(მოსკოვი. ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

28 თებერვალს მოსკოვის მწერალთა კლუბში გაიმართა ორდენოსანი პოეტის ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ასეევის 25 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის იუბილე.

საზეიმო სხდომა იხსნა საკავშირო მწერალთა კავშირის მდივანმა, ორდენოსანმა მწერალმა ა. ა. ფადეევმა.

მოხსენებით ნიკ. ასეევის პოეტური მოღვაწეობის შესახებ გამოვიდნენ ფ. მ. ლევინი და ორდენოსანი ახალგაზრდა პოეტი კონსტ. სიმონოვი.

იუბილარს მიესალმნენ შაგარინი (მხატვართა კავშირი), მელნიკოვა (წუშა ქალი), პოეტი უტკინი, ორდენოსანი პოეტები: ალ. სურკოვი, ვ. კამენსკი, პ. ანტოკოლსკი, მიხალკოვი, პოეტები ფრანკელი და ბორის პასტერნაკი.

ბოლოს, მეტად მგრძნობიარე და შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა იუბილარი ნიკ. ასეევი.

ძენოვ-ჰოვანის სიზმარი და სალაშქროდ წასვლა

(ნაწყვეტი ეპოსიდან „დავით სასუნცი")

ძენოვ-ჰოვანს დაეძინა და სიზმარი ნახა:
ცაზე მისრეთის ვარსკვლავი ელვის ხაზებს სახავს,
ხოლო სასუნის ვარსკვლავი ცის კიდეზე მქრქალობს..
წამოდგა და დაიძახა: — ადექ ზეზე, ქალო!
სიზმრად ვნახე მე მისრეთის მზე ბრწყინვალე იყო,
ხოლო სასუნის ვარსკვლავი თითქმის შემქრალიყო;
აბა, რა დროს ძილი არის, წამოდექი ზეო,
ალბათ, დავითს უბნელდება დღეს სიცოცხლის მზეო.
ცოლმა უთხრა — „დაიძინე, შენ დაგექცეს ქოხი.
აბა მითხარ, ძილს რად იკრთობ სიზმრებით და ოხვრით!?".
ძენოვ-ჰოვან გადაბრუნდა და ძილს მისცა თავი.

მაგრამ ძილში კიდევ ნახა მან სიზმარი ავი:
იყო მისრეთის ვარსკვლავი შუქჭარბი და სავსე,
ხოლო სასუნის მნათობი ძლივს ბჟუტავდა ცაზე,
წამოდგა და დაიძახა — ქალო, ადექ ზეო,
ვგონებ ახლა უბნელდება დავითს თავის მზეო,
მისრეთის ბედის ვარსკვლავი კვლავ ბრწყინვალე იყო,
ხოლო სასუნის ვარსკვლავი თითქმის მიმქრალიყო.
ცოლმა უთხრა — „დაიძინე, შენ დაგექცა სახლი.
რად მაწუხებ მე ამდენი ჭირ-ვარამით დაღლილს?"
ძენოვ-ჰოვან გადაბრუნდა, კვლავ ძილს მისცა თავი.

ისევ ნახა მან სიზმარი ახლა უფრო ავი:
მისრეთის მნათი ვარსკვლავი ცაზე ჯანღად დადგა,
წალე სასუნის ვარსკვლავი მან ერთბაშად შთანთქა.
ძენოვ-ჰოვან დაიყვირა: — „ცოლო, ადექ ზეზე.
ყრმა დავითი მტერმა მოჰკლა, მე სისხლს რად არ ვეძებ!?!"
მან მიუგო — „შე საწყალო, თავს რომ იკლავ ურვით,
იქნებ ახლა იგი სხვის ცოლს უკლავს ჟინს და წყურვილს!
ვინ იცის, ვის ჩაჰხვევია, ვის ტუჩს ტუჩზე იხლის?"
ძენოვ-ჰოვანი განრისხდა მიაყოლა წიხლი.

და შესწყვიტა ცოლთან ბევრი განსჯა-ლაპარაკი.
ქალი ადგა სწრაფად ზეზე, გააჩაღა ჭრაქი,
ძენოვ-ჰოვანმა უბრძანა — „გამოიღე ძველი
მრავალ ბრძოლებში ნაცადი ჩემი საჭურველი".
ცოლმა ყველა მიუტანა... შეიჭურვა ქმარი,
წავიდა და გამოაღო საჯინიბოს კარი.
თეთრს ბედაურს ზურგზე ფრთხილად გადაუსვა ხელი,
მაგრამ წელში ჩაიზნიქა ის მუდრეგი ცხენი,
ძენოვ ჰკითხა — „ბედაურო, ძალუძს შენთა ტერფთა,
რომ მივუსწრო მე დავითის შებრძოლებას მტერთან?"
მან მიუგო ნელი ზლაზნვით — „თუ კი ჩქარა ვილით,
ჩვენ ბრძოლაზე ვესტუმრებით დავითს ადრე დილით".
ძენოვ-ჰოვან გულმოსული ხელს დაუქნევს თექზე
— „რაც გაჭამე, შე ოხერო, სულ არამად გექცეს"
ახლა თავის წითელ ტაიჭს მიუბრუნდა ისა,
ცხენი შეკრთა და დაუშვა მან მუცელი ძირსა.
ჰკითხა — „რა დრო დასჭირდება, ცხენო, შენთა ტერფთა,
რომ მივუსწრო მე დავითის შეტაკებას მტერთან?"
— ერთი საათი, ცხენმა სთქვა და ფრუტუნი იწყო.
„რაც მე შენთვის მიჭმევია, დე არამი იყოს!"
ახლა მერანს მიუბრუნდა, შავსისხლი აქვს ცხელი,
არც მუცელი ჩამოუშვა და არც შეკრთა ცხენი.
ძენოვ-ჰოვან სიყვარულით მას უკოცნის თვალებს
ჰკითხავს — „შესძლებ, შენ დავითთან მიმიყვანო მალე?"
ცხენმა მიუგო — „უზანგში ფეხი შესდგი ცალი,
თუ შენ შეგწევს ცხენზე ჯდომის შნო, ლაზათი, ძალი,
სანამ გაუყრი მარჯვენა ფეხს მეორე უზანგს,
მე დავითთან მიგაქროლებ, მტერი რაღას უზამს?!"

სომხურიდან სთარგმნეს **ილია და ბიძინა აბულაძეებმა**.

მოხსენებები დავით სასუნცის შესახებ

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა „დავით სასუნცის" იუბილესათვის მოაწყობს ხალხური ეპოსის გარშემო არსებული ლიტერატურის გამოფენას სხვადასხვა ენაზე. მკითხველთათვის მოეწყობა მოხსენებები და საუბრები „დავით სასუნცის" გარშემო და ხალხური ეპოსის შესახებ.

ქართული საბჭოთა პოეზია აღმავლობის გზაზე

ვ. წულუკიძე

განუზომელია წარმატება, რომელიც **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველომ ორი ხუთწლედის მანძილზე სახალხო მეურნეობის და კულტურის ყველა დარგში მოიპოვა. მაგრამ მისი ყველაზე ძვირფასი მონაპოვარია სოციალიზმისათვის ბრძოლაში აღზრდილი ადამიანები, ჩვენი სამრეწველო საწარმოების და საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველები, რომლებიც აზროვნებენ და მოღვაწეობენ ფართო სახელმწიფო მასშტაბებით, რომლებიც იმდენად ვაიზარდნენ და მომწიფდნენ, რომ პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად არკვევენ რთულ სამეურნეო სახელმწიფოებრივ საკითხებს, მათთან ერთად ამუშავებენ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს სოციალიზმის შემდგომი განმტკიცებისა და აღმავლობისათვის. ქართველი ხალხის ამ მოწინავე შვილთა შორის არის ცამეტი ქართველი საბჭოთა მწერალიც, რომლებმაც ხალხის ერთგული სამსახურით, ინტენსიური შემოქმედებითი შრომით გაიზიარეს საბჭოთა საქართველოს საამაყო შვილთა სახელი და დიდება, დაიმსახურეს მთავრობის დაფასება და მიიღეს ორდენები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** შეუწყვეტელმა მზრუნველობამ ქართული საბჭოთა მწერლობა ისეთ იდეურ სიმაღლეზე აიყვანა, რომ მან შესძლო ქართველი მშრომელი ხალხის გამარჯვებათა, მის ზრახვათა და მისწრაფებათა ვამოხატვა ლექსებსა და პოემებში, მოთხრობებსა, რომანებსა და დრამატურგიულ ნაწარმოებებში.

როგორც ამხანაგი **ლ. ბერია** ამ ორი წლის წინათ აღნიშნავდა, ქართულმა სამწერლო ინტელიგენციამ გარდაქმნის მეტად რთული გზა გაიარა და უკანასკნელი წლების მანძილზე იდეურად და პოლიტიკურად განმტკიცდა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქართველ მწერალთა მხატვრული ზრდა მეორე ხუთწლედში. მეორე ხუთწლედი, რომელმაც საქართველო ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადააქცია და რომელიც ლიტერატურულ ცხოვრებაში მიმდინარეობდა 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულ გადაწყვეტილების რეალიზაციის ლოზუნგით, სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციის ლოზუნგით, ეს მეორე ხუთწლედი აღმოჩნდა განსაკუთრებით ნაყოფიერი პერიოდი ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებაში.

დღეს ქართული საბჭოთა მწერლობა თავის მუშაობას სთვლის დიდი ისტორიული საქმის ნაწილად. ამ წლების განმავლობაში იგი გულმოდგინედ იბრძოდა ხალხურობისათვის, რათა მხატვრული სიტყვა გამოეყენებია ხალხის მომსახურებისათვის, გაეღვივებია მასებში სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, მისი რევოლუციური წარსულისადმი, განემტკიცებია ხალხთა სტალინური მეგობრობა, გასაგები და მისაწვდომი ფორმით მშრომელი მასების შეგნებამდე მიეტანა **ლენინ-სტალინის** ეპოქის დიადი იდეები.

შინაარსით და იდეებით, მიზნებით და დანიშნულებით ხალხური ლიტერატურა, თავისი ფორმით ხალხისათვის გასაგები და მისაწვდომი ლიტერატურა — აი რისთვის იბრძოდა და იბრძვის ქართული საბჭოთა მწერლობა.

ხალხურობისთვის ამ ბრძოლაში ერთერთი პირველი როლი ეკუთვნის ქართული საბჭოთა ლიტერატურის პოეტურ ნაწილს.

ოქტომბრის წინადროინდელი თაობის პოეტებმა უკუაგდეს რა ეგრედწოდებული „წმინდა-ინტიმური" ლირიკის უიდეურობა, შემთხვევით განწყობილებათა ინდივიდუალისტური შეზღუდულობა, გაიარეს განვითარების ის სტადიაც, როცა თავს გრძნობდენ რევოლუციური გარდაქმნის ობიექტებად.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა, ახალი სოციალისტური კულტურის უმაგალითო ზრდამ პოეტების ეს თაობა დაარწმუნა, რომ სოციალიზმი წარმოადგენს კაცობრიობის ნამდვილი ისტორიის დასაწყისს, რომ მისი განმტკიცება ქმნის ყოველი ერის კულტურული აყვავების და ადამიანის ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების უდიდეს შესაძლებლობას. ამის შემდეგ სოციალიზმის ყოველ წარმატებას ძველი თაობის პოეტების დიდი ნაწილი სთვლიდა და სთვლის ისეთ მოვლენად, რომელსაც მჭიდროდ უკავშირდება ყოველი ადამიანის, ყოველი მოქალაქის პირადი ცხოვრება და მომავალი. ამის შეგნება მასში ბადებს მოთხოვნილებას და შინაგან აუცილებლობას — გამოხატოს თავისი დამოკიდებულება სოციალიზმის ყოველი მნიშვნელოვანი წარმატებისადმი.

ახალი თაობის პოეტებმა, საბჭოთა ფორმაციის პოეტებმა, რომელთაც არ იცოდნენ გაორება და მერყეობა ძველსა და ახალს შორის, რომელნიც თავის თავს არ უპირისპირებდნენ რევოლუციას, მაგრამ რომელთა შემოქმედებას ახასიათებდა აბსტრაქციულობა და რიტორიულობა, ამ პოეტებმა ჩვენი ეპოქის ათვისება დაიწყეს არა საერთოდ, არა ზოგადად, არამედ გარკვეული ფაქტების, სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული ფაქტების გაცნობის საშუალებით. აქედან წარმოიშვა ქართულ საბჭოთა ლირიკის ახალი სოციალისტური ხარისხი. იგი აღიჭურვა მეტი ემოციური ძალით. ღრმა ლირიზმის, ნამდვილი პოეტური აღმაფრენის შეთავსება პოლიტიკურ მგზნებარებასთან დამახასიათებელია მოწინავე ქართველი პოეტების მრავალი ლექსისათვის, განსაკუთრებით, იმ ლექსებისათვის, რომლებიც მიძღვნილია დიდი ბელადების **ლენინისა და სტალინისადმი**. კრებული „ლექსები და სიმღერები სტალინზე" წარმოადგენს ნამდვილ შემოქმედებითს შეჯიბრებას პოეტებისას, რომლებმაც მოუხმეს მთელ თავიანთ მხატვრულ უნარს, გამოსახვით საშუალებების მთელს არსენალს, რომ ლექსის მაღალი ფორმალური ორგანიზაციით დაეხატათ ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის სახე, გამოეთქვათ მშრომელი მასების სიყვარული და თავდადების გრძნობა ახალი ცხოვრების შემქმნელის დიდი **სტალინისადმი**. ეს არის ლექსები არა მარტო ჩვენი დროის უდიდეს ადამიანზე, არამედ მთელ სტალინურ ეპოქაზე, რამაც წარმოუდგენლად გაამდიდრა იდეურად, გაამრავალფეროვანა თემატიურად და მხატვრულად ქართული საბჭოთა პოეზია.

სურათოვნების, ემოციური ლირიზმის შეთავსება სოციალური პროცესების ღრმა გაგებასთან იგრძნობა ახალი კოლხიდის თემატიკაზე დაწერილ მრავალ პოეტურ ნაწარმოებშიც. და ეს გასაგებია რადგან ახალი კოლხიდა გრანდიოზული მოვლენაა ქართველი ხალხის ისტორიაში. ახალ კოლხიდას მოაქვს მთელი ნახევარმილიონიანი მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღება, უდიდესი სამეურნეო აღორძინება, კულტურული აყვავება. ეს არის მიზეზი, რომ ახალ კოლხიდას აღმოაჩნდა ესოდენი შთამგონებელი ძალა ქართველი საბჭოთა პოეტების მთელი კოლექტივისათვის.

ამ წიგნებზე ადრე ქართველმა პოეტებმა უძღვნეს ლექსების კრებული ესპანეთის გმირი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას ფაშისტებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ. ამ ლექსებში ქართველმა პოეტებმა შეძლებისდაგვარად გამოხატეს საბჭოთა ხალხის განცდები, მისი მღელვარე დამოკიდებულება ამ დიდი საერთაშორისო მოვლენისადმი, გამოხატეს საბჭოთა ხალხის ძმური თანაგრძნობა, ნამდვილი ინტერნაციონალური სოლიდარობა არა მარტო თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, არამედ მთელი კაცობრიობის პროგრესისათვის მებრძოლ ესპანელი მშრომელი მასებისადმი.

ქართველი პოეტების ორგანიულმა კავშირმა საბჭოთა ხალხის ცხოვრებასთან, იმ ამბებთან და პროცესებთან, რომლებშიაც მონაწილეობდა მთელი საბჭოთა ხალხი, რომლებიც აღელვებდნენ ყველა ჭეშმარიტ საბჭოთა მოქალაქეს, ყოველ საბჭოთა პატრიოტს თავისი ძლიერი გამოხატულება ჰპოვა სტალინურ კონსტიტუციისადმი და საკავშირო და საქართველოს უმაღლეს საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილ პოეტურ ნაწარმოებებში. ეს არის მხატვრული დოკუმენტები საბჭოთა ხალხის იმ დიად პოლიტიკურ-მორალურ მთლიანობაზე, რომელიც ასეთი ბრწყინვალებით ვამომჟღავნდა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის გამარჯვებაში. პოეტების მთელი კოლექტივი აღმოჩნდა შინაგანად მობილიზებული და იდეურად დარაზმული იმისათვის, რომ ეგრძნოთ, განეცადათ და გამოეხატათ ეს უდიადესი მომენტი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

ამ დიდი ისტორიული მოვლენებით და თარიღებით გამოწვეული მრავალი ლექსის რეზონანსი, უეჭველია, გასცდება ყოველდღიურობის ფარგლებს და გაუძლებს დროის გამოცდას, რადგან საუკეთესონი ამ ლექსებს შორის გამდიდრებული არიან პოეტურ ასპექტში, პიროვნული ემოციების რკალში გატარებული იმ უკვდავი ღირებულებებით, რომელთაც ჰქმნიდა საბჭოთა ხალხი 21 წლის მანძილზე თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა სფეროში.

გალაკტიონ ტაბიძის „რევოლუციური საქართველო", „ეპოქა", ალიო მაშაშვილის „ჰიმნი სამშობლოს", „სამშობლო ბელადისა", ილო მოსაშვილის „სიცოცხლე მართლა სიხარულია", „ლავრენტი ბერიას", გიორგი ლეონიძის „სიმღერა ბელადზე", „ბავშვობა და ყრმობა", ს. ჩიქოვანის „სიმღერა სტალინზე", „ვორის ციხე", ალ. აბაშელის „ფოლადაური", „ბრწყინვალე თარიღი", ვ. გაფრინდაშვილის „ოქტომბრის სტრიქონები", ირ. აბაშიძის „საოქტომბრო მიძღვნა ლ. ბერიას" და ამავე პოეტების სხვა ლექსები წარმოადგენენ მათი ავტორების მსოფლმხედველობის ორგანიულ ნაწილს, იმ ცოდნისა და დაკვირვებების დასკვნას, შეჯამებას, რომლებიც მათ საბჭოთა ხალხის შრომასა და ბრძოლაზე, მშრომელი მასების მღელვარე შემოქმედებით ცხოვრებაზე დაუგროვებიათ; დაუგროვებიათ, როგორც საზოგადოებრივი ბრძოლის, სოციალისტური მშენებლობის აქტიურ მონაწილეებს.

სოციალისტური შრომის ვმირებზე, ჩვენი სამშობლოს საზღვრების ფხიზელ გუშაგებზე, ჩვენ სახელოვან მფრინავებზე და მეზღვაურებზე, ჩვენი ქვეყნის რევოლუციურ წარსულზე, საკოლმეურნეო გლეხობის ყოფაცხოვრებაზე დაწერილ ს. ეულის, კ. კალაძის, გ. ქუჩიშვილის, ს შანშიაშვილის, ი. გრიშაშვილის, ა. ვომიაშვილის, რ. გვეტაძის, ვ. გორგაძის, გ. კაჭახიძის, კ. ბობოხიძის, დ. გაჩეჩილაძის, ს. თავაძის, ალ. ქუთათელის, ვ. გაბესკირიას, გრ. აბაშიძის, მ. მიქელაძის, მ. მრევლიშვილის და სხვ. ლექსებში მოსჩანს ახალი იდეური სულისკვეთება, ჰორიზონტი ნამდვილი საბჭოთა მოქალაქისა, ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტისა, რომელიც მშრომელთა ბრძოლას, მათ შემოქმედებითს მუშაობას სთვლის თავის პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად. ამიტომ მათ მიერ დამუშავებული ცალკეული თემა განათებულია რევოლუციური ბრძოლის და სოციალისტური მშენებლობის მთავარი ამოცანების შუქით. ამავე ტენდენციებს, პოეტი — მოქალაქისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს ააშკარავებენ თავიანთ უკანასკნელ ლექსებში უახლოესი თაობის ახალგაზრდა პოეტები სევისიანი, მირზა გელოვანი, ვ. ჯაბუშანური, ვ. უბილავა, შ. ამისულაშვილი, ალ. საჯაია, მ. ბარათაშვილი, რ. მარგიანი და სხვ.

ცხოვრებასთან ახლო მისვლამ, იდეურ-პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოებამ ჩვენი პოეტები იხსნა აზრებისა და ემოციების შეზღუდულობისა და სივიწროვისაგან, რომელიც ყოველთვის იწვევდა და იწვევს პოეტური ფორმების დაკნინებას და გადაგვარებას, მაშასადამე, ლექსის იდეურ გაღარიბებას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თემები, რომლებიც უეცრად აღიძვრიან ჩვენი ყოველდღიური შრომისა და ბრძოლის პროცესში და დაუყოვნებლივ მოითხოვენ პოეტურ გამოხმაურებას, — უკვე აღარ წარმოადგენენ ჩვენი პოეტებისათვის მხატვრულად დაუძლეველ სიძნელეს, მათი საკუთარი ცხოვრებისაგან გამოცალკევებულ და გამოთიშულ თემებს. ამ თემებზე დაწერილი ლექსები გამთბარი არიან შინაგანი ლირიზმით, ავტობიოგრაფიული სიმართლით, ტემპერამენტით, გაადამიანურებული არიან პოეტის პირადი ხმით, მისი ინტონაციით.

უკანასკნელი წლების ქართულ ლირიკაში სჭარბობენ უშუალო პოლიტიკური ლექსები. ეს კანონზომიერი მოვლენაა და სავსებით შეესაბამება ჩვენს ეპოქას, ინტენსიური საზოგადოებრივი მოძრაობის, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლების, გრანდიოზული სოციალური ძვრების ეპოქას.

მაგრამ ქართველი პოეტები აგრეთვე ხატავენ ჩვენი ქვეყნის ლანდშაფტებს, ვანახლებული სოფლებისა და ქალაქების პეიზაჟებს, კოლმეურნეთა კარმიდამოს, გამოსთქვამენ თავიანთ უინტიმეს გრძნობებს მეგობრობაზე, სიყვარულზე, უმღერიან ჩვენი კლასიკური ლიტერატურის კორიფეებს, ათასწლოვანი კულტურის ძეგლებს. ამ თემებს, ხშირად მიმართავენ ალიო მაშაშვილი, გ. ტაბიძე, კარლო კალაძე, ი. მოსაშვილი, კონსტ. ჭიჭინაძე, სიმ. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, ა. გომიაშვილი, ვ. გაბესკირია და სხვები. მაგრამ მწვავე პოლიტიკურ პრობლემებისგან თემატიურად დაშორებულ ამ ლექსებშიაც ძალდაუტანებლად შესულია სოციალური მოტივები, ახალი მსოფლშეგრძნობა.

საბჭოთა პოეზია ინკურნება იმ გულგრილობიდან, რომელიც ზოგიერთს ჩვენს პოეტს ვიწრო — ინდივიდუალისტურ, ესთეტიურ ლიტერატურული სკოლებიდან გამოჰყვა. სოციალიზმის მშენებლობის პათოსი, ის დიდი პერსპექტივები, რომელთაც ჩვენს წინაშე შლის მესამე ხუთწლიანი გეგმა, საბჭოთა ხალხის ყოველდღიური შემოქმედებითი მუშაობა, საბჭოთა პოეტში არ სტოვებს ადგილს გულგრილობისათვის.

ქართული საბჭოთა პოეზიის ამ ზოგადი მიმოხილვიდან, რასაკვირველია, არ შეიძლება გამოვიტანოთ ის დასკვნა, თითქოს ჩვენს პოეტებს თავიანთ სფეროში საბრძოლო და მოსაპოვებელი აღარაფერი დარჩენოდეთ, ქართული საბჭოთა პოეზია ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან. არც ერთი ჩვენი, თუნდაც მოწინავე პოეტის შემოქმედება არ არის სავსებით თავისუფალი სტანდარტული სქემისაგან, შტამპისაგან, შიშველი დეკლარატიულობისა, ემპირიულ აღწერილობისა, მყვირალა პათეტიურობისა და სტილიზატორობისაგან.

ჩვენი პოეტების ლექსები კიდევ უფრო უნდა გამდიდრდეს კონკრეტული სახეებით, ამაღლდეს უშუალობით, საბჭოთა პოეტმა უნდა იზრუნოს ლექსის რიტმიულ-ინტონაციური სტრუქტურის გადახალისებაზე, მისცეს ლექსს მეტი სიუჟეტურობა, კომპოზიციური მთლიანობა, დაამყაროს ლექსი სახეების განვითარების ლოგიკაზე, დაუმორჩილოს პოეტური სიტყვის წყობა ლექსის ძირითად ემოციურ ტონს, შეეჩვიოს იდეური განზრახვისათვის პოეტური ხერხების დაქვემდებარებას.

განუყრელი ორგანიული კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმა შესწავლა, დიდი კლასიკური პოეზიის მემკვიდრეობის უფრო ღრმად და კრიტიკულად ათვისება, ყოველდღიური გაძლიერებული მუშაობა პოეტური კულტურის ასამაღლებლად მისცემს ჩვენს პოეტებს ძალას ქართული საბჭოთა პოეზია აიყვანონ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე.

ტარას შევჩენკოს საიუბილეო დღეები

ტარას შევჩენკოსადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა კიევში

6 მარტს, საღამოს 8 საათზე კიევის ოპერისა და ბალეტის ორდენოსან თეატრში შესდგა უკრაინის უდიდესი პოეტის შევჩენკოსადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში სხედან ხრუშჩევი, ბურმისტენკო, კოროტჩენკო, კორნიეცი, მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები, უკრაინის მწერლები, არტისტები, მეცნიერი მუშაკები.

შევჩენკოს შესახებ მოხსენებით გამოვიდა დრამატურგი ა. კორნეიჩუკი.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ვსევოლოდ ვიშნევსკიმ.

მილოცვებით გამოდიან: ბელორუსიის ხალხის სახელით იანკა კუპალა, ქართველი ხალხის სახელით სანდრო ეული, სომხეთის ხალხის სახელით აბოვი; საბჭოთა მხატვრების კავშირის სახელით ლაპარაკობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ორდენოსანი გერასიმოვი, აზერბაიჯანის ხალხის სახელით სიტყვა წარმოთქვა რაფილიმ და ძღვნად მიართვა ნოხზე ამოქარგული შევჩენკოს პორტრეტი.

ტარას შევჩენკოსადმი მიძღვნილი საღამო ტფილისში

საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდის ინტერესით შეხვდა უკრაინის უდიდესი მწერლის ტარას შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავს. იმართება მწერლისადმი მიძღვნილი საღამოები. რაიონებში ტარდება საუბრები და მოხსენებები შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო. ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ისტამბება წერილები პოეტ-რევოლუციონერზე. გამოიცა შევჩენკოს ნაწერები ქართულად და სხვ.

საიუბილეო კომიტეტის თაოსნობით, 7 მარტს რუსთაველის თეატრში გაიმართა საზეიმო საღამო, სრულ 9 საათზე ფარდა აიხადა. გამოჩნდა საზეიმოდ მორთული სცენა. ცენტრში გამოკიდებულია ტარას შევჩენკოს დიდი პორტრეტი. პრეზიდიუმში სხედან: შალვა დადიანი, ა. მაშაშვილი, ნ. ჩარკვიანი, ლ. ქიაჩელი, პროფ. კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, შ. რადიანი, ნ. აგაშენაშვილი, ი. გრიშაშვილი, პროფ. ს. ჯანაშია, ი. მოსაშვილი, დ. არაყიშვილი, დ. შენგელაია, კ. კალაძე, ი. აბაშიძე, ა. ვასაძე, ა. ხორავა, ა. ჭეიშვილი, დ. ბენაშვილი და სხვ

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ორდენოსანმა მწერალმა შალვა დადიანმა.

ტარას შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა შალვა რადიანი.

შევჩენკოს ლიტერატურული მემკვიდრეობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს ა. ჭეიშვილმა, დ. ბენაშვილმა, პროფ. კ. კეკელიძემ (სახ. უნივერსიტეტის სახელით), ს. ჯანაშიამ (სსრკ აკადემიის საქართველოს ფილიალის სახელით), ნ. აგაშენაშვილმა (საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციების სახელით) გ. კაპანიძემ (ტფილისის ლენინის რაიონის მუშათა სახელით). პოეტმა ი. გრიშაშვილმა საზოგადოებას გააცნო, თუ რა დიდის ინტერესით ეპყრობოდნენ ტ. შევჩენკოს შემოქმედებას მე-19 საუკუნის ქართველი მწერლები—აკაკი, მამია გურიელი, ი. გოგებაშვილი და სხვები.

საზეიმო საღამოზე გამოსულთა ყოველი სიტყვა გამსჭვალული იყო სიყვარულის და მეგობრობის გრძნობით უკრაინის ძმური ხალხისადმი და მისი კულტურისადმი.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი, მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა, რუსთაველის თეატრისა და მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობებმა, ოპერის და ბალეტის თეატრის მსახიობებმა და კონსერვატორიის მოწაფეებმა.

კონცერტს ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ორდენოსანი აკაკი ხორავა.



სახლიტგამის მიერ გამოცემულ ტ. შევჩენკოს წიგნის გარეკანი

მხატ. გ. ავალიანისა

ახალი წიგნები

„თვალთაი“

მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ფედერაცია“ სცემს კონსტანტინე გამსახურდიას კრებულს „თვალთაის“ სახელწოდებით. კრებულში მოთავსებულია კ. გამსახურდიას უკანასკნელი რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ და თერთმეტი ნოველა. წიგნი გაფორმებულია მხატვრის ნ. გრიგოლიას მიერ.

„ამირან-დარეჯანიანი“

სახელგამმა გამოსცა მოსე ხონელის „ამირან – დარეჯანიანი“. ეს ნაწარმოები წარმოადგენს ქართულ ფეოდალურ საერო ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს. იგი ეკუთვნის ფეოდალური მწერლობის სადევგმირო ჟანრს. გამოცემის რედაქტორია სარგის კაკაბაძე.

წიგნს თანდართული აქვს ლექსიკონი და საკუთარ სახელების საძიებელი. წიგნი შეიცავს 184 გვერდსა და ღირს 9 მანეთი.

ო. თუმანიანის პოემა ქართულად

სახელგამმა დაბეჭდა და ამ დღეებში გაიყიდება წიგნის მაღაზიებში ოვანეს თუმანიანის პოემა „თმოგვის ციხის აღება“. პოემა ქართულად თარგმნილია მელიქსედ-ბეგის მიერ და გამოცემულია ი. გრიშაშვილის რედაქციით.

ჟურნალ „მნათობის“ № 1

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს ჟურნალი „მნათობი“ № 1. ჟურნალის მხატვრულ ლიტერატურის განყოფილებაში დაბეჭდილია: ხალხური ლექსი ლენინზე, ი. გრიშაშვილის—ახალი წელი (ლექსი), პ. ჩხიკვაძის—ახალი ხმელეთი (რომანი), სიმ. ჩიქოვანის—ლექსები, კონსტ. გამსახურდიას—დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა (რომანი), გრ. აბაშიძის—სვენწკის ჩვენება (ლექსი), მაყვალა მრევლიშვილის—მეგობარ მხატვარს (ლექსი), ანა ხახუტაშვილის—იოსებ ლალიაშვილი (რომანი).

განყოფილებაში — დასავლეთის მწერლობა — დაბეჭდილია: ინგლისელი პოეტების ლექსები—თარგმ. ვივი გაჩეჩილაძისა, აბატი პრევოსი—მანონ ლესკო თარგმ. ქეთ. ორემაძისა.

კრიტიკის განყოფილებაში მოთავსებულია: ბეს. ჟღენტის წერილი—„პირისპირ“ რომანი ა. ქუთათელისა.

ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის განყოფილებაში დაბეჭდილია: პავლე ინგოროყვას წერილი—ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (წერილი პირველი).

დასასრულ ჟურნალში დაბეჭდილია: ა. ს.—გეორგ დოდოხიანის თხზულებანი (ბიბლიოგრაფია).

„ჩვენი თაობა“ № 2

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალ „ჩვენი თაობას“ № 2; ჟურნალში მოთავსებულია გ. კალანდაძის „გაზაფხულის წვიმა წითელ მოედანზე“ (ლექსები), შ. ამისულაშვილის „მეგობრობა“ (ლექსი), ვიქტორ გაბესკირიას „ზამთრის პეიზაჟები“ (ლექსი), გაბრ. ჯაბუშანურის „ბალადა მესაზღვრეზე“ (ლექსი), ლადო ბალიაურის „სტუმარი“ (მოთხრობა), ანდრო თევზაძის „ჩანჩქერები“ (ლექსი), კლავდია დევდარიანის „დაიგვიანა“ (მოთხრობა), ხ. გუნიას ლექსები კოლხიდაზე. კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულია შ. იმნაძის წერილი „ილო მოსაშვილი“, პ. ჩხიკვაძის „ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი მუშაობა“ (კონსულტაცია), ვ. ჯიბუტის წერილი „ჩარლზ დიკენსი“, გ. მებუკის „ივ. მაჩაბელი“ (წერილი), დ. შ-ს „ოვანეს თუმანიანი“ (წერილი), მკითხველის—„აკ. ბელიაშვილის ახალი მოთხრობები“ (ბიბლიოგრაფია).

„რუსული ფოლკლორი“

მოსკოვის სასწ.-პედ. გამომცემლობამ ამ დღეებში გამოსცა ცნობილი ფოლკლორისტის პროფ. ი. მ. სოკოლოვის წიგნი — „რუსული ფოლკლორი“.

პროფ. სოკოლოვი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ წიგნი შედგენილია უმაღლესი სკოლების ლიტერატურული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ავტორმა, მიიღო რა მხედველობაში ამჟამად ფოლკლორში საერთო სახელმძღვანელოს უქონლობა, სახელმძღვანელო შეადგინა იმგვარად, რომ იგი სასარგებლო გამხდარიყო მასწავლებლებისა, ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერულ მუშაკებისათვის.

წიგნი შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: ფოლკლორისტიკის ისტორიოგრაფიის პრობლემები, ფოლკლორის ბუნება, ოქტომბრამდელი ფოლკლორი, ეს უკანასკნელი ყველაზე ვრცელი განყოფილებაა.

ამ განყოფილებაში დაბეჭდილია ქართული ლექსის — „ორი მზის“ თარგმანი, რომელსაც პროფ. სოკოლოვი ასეთ კომენტარიას უკეთებს: „საუცხოოდ გამოხატა გლეხებისა და მუშების გრძნობები და აზრები ერთმა მგოსანმა გლეხმა. იგი, რომელმაც ასე ღრმად შეიგრძნო და გაიგო მზის ძალა და მნიშვნელობა შრომითს ცხოვრებაში, დიდი მხატვრული დამაჯერებლობით უმღერის ორ მზეს“.

იქვე წარმოდგენილია ოსური ლექსი სტალინის შესახებ.

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობაში

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა პოეტ პ. რურუას საბავშვო ლექსების წიგნი „ბუნება და ბავშვები“ და გ. ბასილაშვილის რომანი „სამი მებრძოლი“.

„მთასვლელი“ — ქანდაკება შ. მიქატაძისა (კინო „რუსთაველის“ ფასადზე).

პიესა სუვოროვზე

წითელი არმიის ცენტრალური თეატრი და პუშკინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო აკადემიური დრამის თეატრი მუშაობენ ახალ პიესაზე „სარდალი სუვოროვი“. პიესა დაწერილია ახალგაზრდა ლენინგრადელ ავტორების ბახტერევისა და რაზუმოვსკის მიერ.

წითელ არმიის ცენტრალურ თეატრში მიმდინარეობს ამ პიესის რეპეტიციები. პიესას სდგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. პოპოვი. პიესა „სარდალი სუვოროვის“ პრემიერა მოსკოვსა და ლენინგრადში განზრახულია მიმდინარე სეზონში.

ანტონ ფურცელაძე და ლიტერატურული პაექრობა 60-იან წლებში

60-იანი წლების ლიტერატურულ ბრძოლაში ანტონ ფურცელაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. „მამათა და შვილთა“ ბრძოლის დროს ანტ. ფურცელაძე ძველი თაობის ორგანოს „ცისკრის“ მთავარ თანამშრომლად გვევლინება და ამ ჟურნალის ფურცლებიდან ებრძვის ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეს“.

დღეს ლიტერატურის ისტორიკოსისათვის ცხადია, რომ ანტ. ფურცელაძე მხოლოდ ფორმალურად იყო გაერთიანებული „ცისკრის“ ჯგუფის მწერლებთან. თავისი პუბლიცისტური და მხატვრული ნაწერებით ანტ. ფურცელაძე ამ პერიოდში გვევლინება მებრძოლ დემოკრატად, რადიკალური აზროვნების გაბედულ მედროშედ.

მართალია, ანტ. ფურცელაძე თავის მხატვრულ ნაწერებში ნაკლებად აქცევს ყურადღებას მხატვრულ ფორმას და ენის სიწმინდეს. ხშირად მის მოთხრობებში მასალა ნედლი სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ იდეური სიახლით, სოციალური მახვილით, ძლიერი პროტესტით მაშინდელი ბიუროკრატიულ-მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ და ახლად ჩასახული საზოგადოებრივი მოვლენების შემჩნევით მისი მოთხრობები დღესაც ყურადღებას იპყრობენ. უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, რომ 1863 წელს ა. ფურცელაძემ, ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანის **Что делать**-ის უშუალო გავლენით დასწერა მოთხრობა „სამის თავგადასავალი“. ამ მოთხრობის პერსონაჟები, დიდი რუსი რაზნოჩინელის გმირების მსგავსად, შესტრფიან უტოპიურ სოციალურ იდეალებს, ადიდებენ საფრანგეთის რევოლუციის პრინციპებს და ლამობენ ახალი ცხოვრების შექმნას.

1865 წელს დაწერილ მოთხრობაში „მართა“ ანტ. ფურცელაძეს პირველად აქვს მოცემული ქართულ ლიტერატურაში გლეხების შეკავშირებული თავდასხმა მებატონეზე.

პუბლიცისტურ და კრიტიკულ სტატიებში ან. ფურცელაძე არა ნაკლები სიცხადით ამჟღავნებს თავის რადიკალურ-დემოკრატიულ პოზიციას. იგი 60-70 წლებში გარკვევით განიცდის რუსი ხალხოსნებისა და დასავლეთ ევროპის უტოპიური სოციალიზმის იდეურ გავლენას. თავის გაზეთ „გუთნის დედაში“ და ჟურნალ „მნათობში“ სოციალ-ეკონომიურ საკითხებზე გამოქვეყნებული წერილების ძირითადი აზრი მდგომარეობდა გლეხთა მასების ინტერესების დაცვაში. ამ ნაწერებში გაბედულად არის გატარებული კაპიტალისტური ურთიერთობის კრიტიკა.

ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი რადიკალური იდეებით გამსჭვალული ადამიანი ვერ იქნებოდა ძველი კონსერვატიული თაობის მომხრე. ა. ფურცელაძე „ცისკრის“ ფურცლებზედვე აჩერებს ძველი თაობის გაკრიტიკებას. იგი თავის შესანიშნავ კრიტიკულ წერილში „სურამის ციხის“ შესახებ („ცისკარი“, 1863 წ. № 1) „მამების“ წარმომადგენლებს — ექვთიმე წერეთელს, გრ. რჩეულიშვილს, ბერიძეს და სხვებს—უნიჭო მწერლებს და კონსერვატორებს უწოდებს. მეორეს მხრით ან. ფურცელაძე „ცისკრის“ ფურცლებიდანვე მწვავე ლიტერატურულ პაექრობას მართავს „საქართველოს მოამბესთან“.

1863 წ. „ცისკარში“ იგი ქერელი ბექას ფსევდონიმით სწერს რეცენზიას „საქართველოს მოამბის“ პირველ ორ ნომერზე. რეცენზია ტენდენციურია. ფურცელაძე ბრალსდებს „საქართველოს მოამბის“ ხელმძღვანელებს უგემოვნებასა და სუსტი წერილების მოთავსებაში. ი. ჭავჭავაძის ჟურნალმა სასტიკი პასუხი გასცა ქერელ ბექას იერიშს. ა. ფურცელაძე არ აყოვნებს და „ცისკრის“ შემდევ ნომერშივე სწერს პასუხის პასუხს. ამ სტატიის ზოგი მომენტი საინტერესოა თანამედროვე მკითხველისათვის. „საქართველოს მოამბის“ საწინააღმდეგოდ ა. ფურცელაძე სწერს:

„უნდა იცოდეთ, ბელინსკისა არ იყვეს, რამდენნაირი თხზულებები, თარგმანები და ვინ იცის კიდევ რაები არ მოდის რედაქციაში: ახალციხიდამ გინდა, ქუთაისიდამ გინდა, პეტერბურღიდამ თუ სადაც კი ქართველი კაცი მოხვდება. და ამ თავის თხზულებაზე გაუბრტყელებია სხვილის ასოებით ჩინი, ტიტული, თავისა და მამის სახელი და გვარი. ასე გასინჯეთ თ. დიმიტრი თუმანიშვილის სტატიებიც კი მოგვდის და არ გვაკლებს თავის უნიჭო მოწყალებას. ბევრი ამათგანი ფულსაც ჰგზავნის ოღონდ დაგვიბეჭდეო. ერთს ამგვარ მწერალთაგანს ყველი და ერბო გამოეგზავნა ერთ ლექსის დასაბეჭდათ. ...იმოდენა დრო გეკარგებათ ამათ კითხვაში და ბოლოს გამოდის, რომ მათი [illegible] ყოფილა, თავისი სახელი და გვარი დაბეჭდილი ნახონ. ეს [illegible] ბევრ ჩვენს ლიტერატორსა სჭირს. როდესაც ჩვენს სტატიებში რამდენსამე მწერალს შევნიშნეთ თავისი ნაკლოვანება მათ დიდის წყენებით დაიწყეს ჩემზედ ყვირილი. ზოგი იძახდა, რომ შურით სწერსო, თორემ უნივერსიტეტში რომ არ ყოფილა, საიდამ რა ეცოდინებაო. კარგი! სწორეთ რომ მე უნივერსიტეტში არ ვიყავ ეს დავით ყიფიანი რომ იყო „ოთხი შეხვედრის“ ავტორი...“.

ანტ. ფურცელაძე მართებულად აკრიტიკებს ზოგ ნათარგმნ სიტყვას დავით ყიფიანისას, რომელსაც **Красноречие** წითელსიტყვაობად უთარგმნია. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამ ანტონ ფურცელაძის კრიტიკულ წერილში უდიდესი პროგრესიული ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ შესახებ ტენდენციურია, ლიტერატურული პაექრობის ალში გაზვიადებული. ასეთი გაზვიადების ნიმუშად შეგვიძლია მოვიყვანოთ ანტ. ფურცელაძის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის ლექსისა „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“. ამ კრიტიკიდან ნათლად ჩანს თუ რა უკიდურესობამდე და ტენდენციურობამდე მიდიოდენ ახალი თაობის წარმომადგენლები ერთმანეთთან პოლემიკაში.

1869 წ. ანტ. ფურცელაძემ კავშირი გასწყვიტა „ცისკართან“.

70-იან წლებში ანტ. ფურცელაძე ხდება ჟურ. „მნათობის“ უახლოესი თანამშრომელი და ამ ჟურნალიდან უმართავს ბრძოლას „დროება“-„კრებულის“ ჯგუფს. მაგრამ ამხანად კამათი უფრო სერიოზულ თემებზეა, შულცე-დელიჩის და ლასალის სოციოლოგიური პრინციპების გარშემო, აქტიურ პოლიტიკურ და ეკონომიურ პრობლემებზე.

„მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის პერიოდში, 60-იანი წლების დასაწყისში, „საქართველოს მოამბეში“ კამათის დროს, ანტ. ფურცელაძემ მართლაც გამოსთქვა ნიჰილისტური აზრები ცალკეულ მწერლებზე და მხატვრულ თხზულებებზე (მაგ., ბარათაშვილის ლექსზე „შემოღამება მთაწმინდაზე“). მაგრამ ეს ხაზი კანონზომიერებად არ გადაქცეულა ანტ. ფურცელაძის ესთეტიკურ კონცეპციაში. იმავე პერიოდში გამოქვეყნებული მისი წერილი „სურამის ციხეზე“ საუკეთესო ნიმუშია რეალისტური კრიტიკისა. უკვე 70-იან წლებში ანტ. ფურცელაძე გვაძლევს ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედების საუკეთესო შეფასებას. ის გარკვევით აღნიშნავს, რომ ახალი მიმართულება და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა ნიკ. ბარათაშვილით იწყება ქართულ ლიტერატურაშიო. ნ. ბარათაშვილი „ქართლის ბედს“ სტირის, თავის სამშობლოს ცუდს ბედს, ლაპარაკობს და ქადაგებს იმ გვართა აზრთა, რომელიც მაშინ თვით რუსის მწერლობაშიაც არ ისმოდა“. თავის აზრის დასამტკიცებლად ანტ. ფურცელაძეს მოჰყავს ადგილები ბარათაშვილის პოეზიიდან. ასეთსავე სწორ შეფასებას აძლევს ანტ. ფურცელაძე „მერანს“: „რა იყო „მერანი“ ბარათაშვილისა, — სწერს იგი, — თუ არ ცხოველი ბრძოლა და ქადაგება ახალის აზრისა და ახალის ცხოვრებისათვის“

ამრიგად, ტრადიციული შეხედულება ანტ. ფურცელაძის ესთეტიური კონცეპციის მთლიანად ნიჰილისტური ხასიათის შესახებ არ არის მართალი.

70-იან წლებში და 80-იანი წლების დასაწყისში ანტ. ფურცელაძეს კამათი თავის ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებთან ესთეტიკურ საკითხებიდან უმთავრესად სოციოლოგიურ-ეკონომიურ საკითხებზე გადააქვს. საუკუნის დამლევს კი აღწერილი ლიტერატურული ბრძოლების ცეცხლი განელდა. ამ დროს ილია ჭავჭავაძესა და ანტ. ფურცელაძეს უკვე ვხედავთ საერთო სალონში მეგობრული მუსაიფით გართულს. დარჩენილია მოგონება ნიკ. ნიკოლაძისა და ანტ. ფურცელაძის მეგობრული შეხვედრების შესახებ 900-იან წლებში.

ეს ძველი „მტრები“, რომლებიც ერთმანეთის შესამკობად არ ზოგავდნენ უაღრესად უხეშ ეპიტეტებსაც კი, ხანდაზმულობისას მოკრძალებით და სიყვარულით ეპყრობოდნენ თავიანთი ლიტერატურული რაყიფების სახელებს.

გიორგი აბზიანიძე

„დავით სასუნცი“ ახალ სომხურ ლიტერატურაში

ივ. ბეგლაროვი

საშუალო საუკუნეების სომხეთის ხალხური ეპოსის საუკეთესო ძეგლი „დავით სასუნცი“ გამოხატავს სომხეთში არაბთა ბატონობის დამკვიდრებას და მის წინააღმდეგ სომეხი ხალხის გმირულ ბრძოლას.

ხალხური გმირული ეპოსის „დავით სასუნცის“ სამშობლო იმ უძველეს კულტურულ კერას წარმოადგენს, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ხელოვნების მრავალი თვალწარმტაცი ძეგლი შეუქმნია. ერთი დიდებული ნიმუშთაგანია „დავით სასუნცი“. ამ ნაწარმოებმა მრავალ ქარიშხლიან საუკუნეს გაუძლო და მთლიანად გაამართლა მიქელ ანჯელოს ნათქვამი: „ქანდაკება ისე უნდა გააკეთო, რომ მაღალ მთიდან დაგორებულს არაფერი მოსწყდესო“. ჭეშმარიტად ეს „დავით სასუნცზე“ ითქმის. „დავით სასუნცი“ სომხური ხალხური ეპოსის საფუძველია, იგი სხვადასხვა ვარიანტის სახით ფართოდ არის ხალხში გავრცელებული. ნაწარმოების ენა ხალხურია. ის როდია შექმნილი „გრაბარზე“ (ძველი სომხური სალიტერატურო ენა), როგორც ამას შეცდომით ზოგიერთი ფიქრობს.

„დავით სასუნცი“ ღრმა ჰუმანიზმითა და ინტერნაციონალური სულისკვეთებით გაჟღენთილი ნაწარმოებია. მისი შექმნა მხოლოდ ნიჭიერსა და დიდად კულტუროსან ხალხს შეეძლო. ხსენებულ ნაწარმოებში ჩაქსოვილია თავისუფლებისათვის მებრძოლთა შეუპოვარი აზრები. „დავით სასუნცი“ არის მშრომელი სომეხი ხალხის გული და სული, მისი მსოფლშეგრძნობა. ამ ნაწარმოებში მშვენივრად არის მოცემული სომეხი ხალხის საუკუნოებრივი ბრძოლა არაბებისა და სხვა თავდამსხმელთა წინააღმდეგ. „დავით სასუნცში“ გამოხატულია სამი თაობის გმირები — მჰერი, დავითი და უმცროსი მჰერი — ლომგულა ვაჟკაცები არიან, მათ არ იციან ბრძოლაში შიში და უკან დახევა.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, რომ არც ერთ სომხურ ხალხურ ძეგლს ისეთი ფართო გამოხმაურება არ ღირსებია და ისეთი დიდი სიყვარული არ დაუმსახურებია, როგორც წილად ხვდა „დავით სასუნცს“.

„დავით სასუნცში“ ანუ „სასუნელ გმირებში“ თაობათა მედგარი ბრძოლაა მოცემული. ყოველ ცალკეულ თავში ერთი თაობის ბრძოლაა მხოლოდ მოხაზული. ამ პოემას, რომელიც ოთხი თავისაგან შესდგება, როგორც სიუჟეტით, ისე აღნაგობით ბევრი რამ აქვს საერთო ლექსად წყობილ „ამირანთან“. ამირანი ხალხს რძიანი პურის მოტანას ჰპირდება, დავითი — თავისუფლებას. დავითი სომხთა პრომეთეა, რომელიც ხალხთა ბედნიერებისათვის იბრძვის. დავითი სიმბოლოა ვაჟკაცობისა და უდრეკი სიმტკიცისა, სიმბოლოა მთელი მშრომელი სომეხი ხალხისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე შეუდრეკლად ებრძოდა გარეშე და შინაურ მტრებს. სცდება, ვინც ფიქრობს, თითქოს დავითი მარტო სასუნის გმირი იყოს, რადგან პოემის გმირთა სამოქმედო ასპარეზი სცილდება სასუნის ტერიტორიას. ამ ნაწარმოებში მარტო სასუნი როდია მოხსენებული. მასში მოხსენებულია მთელი სომხეთი და მშრომელი სომეხი ხალხი. საერთოდ თავისი მნიშვნელობით „დავით სასუნცი“ თვალსაჩინო მსოფლიო ეპიკური თხზულებაა და საკაცობრიო მნიშვნელობის ნაწარმოებია. მშრომელ ხალხს გატაცებით უყვარს გმირული „სასუნცი“ რადგან მასში თავის წარსულს ხედავს.

„დავით სასუნცის“ მეცნიერული შესწავლა გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, ხოლო პირველად იგი ჩაწერილ იქნა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში (გარეგინ სრვანძტიანმა 1874 წელს თავის კრებულში მოათავსა „სასუნცის გმირების“ ერთი ვარიანტი.) ამის შემდეგ ამ საქმეს ხელს ჰკიდებენ მანუკა აბეღიანი, ბ. ხალათიანი, პროფ. გ. ხალათიანი, ს. აიკუნი და სხვები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მანუკ აბეღიანის ღვაწლი ამ პოემის შესწავლისა და ჩაწერის საქმეში. მან 1911 წელს გამოაქვეყნა სპეციალური გამოკვლევა სომხური ეპოსის შესახებ, ხოლო 1935 წელს ერთ ტომად გამოცემულ უზარმაზარ წიგნში მოათავსა „დავით სასუნცის“ ოცდახუთამდე ვარიანტი. სხვათა შორის აბეღიანმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა 1889 წელს გაზეთ „მურჭ“-ში, რომ „ჩვენ არ ვიცით, თუ ამჟამად ხალხში რამდენი ლექსი და მოთხრობა არსებობს, არ ვიცნობთ ჩვენი ხალხური პოეზიის სიღარიბისა და სიმდიდრის საფეხურს“. ამ წერილს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო „დავით სასუნცის“ ირგვლივ ინტერესის გაცხოველებისათვის, არამედ საერთოდ სომხური ზეპირსიტყვიერების შესწავლისა და ჩაწერისათვის, როგორც გარეგინ სრვანძტიანი აღნიშნავს, აბეღიანს სამი წელი უძებნია ისეთი კაცი, რომელსაც მთლიანად სცოდნოდა „დავით სასუნცი“, მაგრამ ძებნას უნაყოფოთ ჩაუვლია.

აბეღიანის შრომას მოჰყვა გ. ოსეფიანის „სასმა წრერ“ (სასუნელი გმირები), რითაც, როგორც აბეღიანი აღნიშნავს „ინტერესი გაიზარდა, დაიწერა ბიბლიოგრაფიული და კრიტიკული წერილები ჩვენსა და რუსულ გაზეთებში“. სხვათა შორის „სასმა წრერ“ 1892 წელს ტფილისში დაიბეჭდა. 1895 წელს ხაჩიკ ვართაპეტი „არარატში“ აქვეყნებს „ტღა დავითი ევ ალჩიკ ხანდუთი ჰექიათ“ (დავით ბიჭისა და ხანდუთ გოგოს ზღაპარი). ამავე ჟურნალში 1898 წელს „დავით სასუნცი“ დაიბეჭდა ხოთური დიალექტით. თუმცა მას არ აწერია, ვისგან არის ჩაწერილი, მაგრამ სამართლიანად ფიქრობენ, რომ იგი ჩაწერილი უნდა იყოს ჰ. ჰაიკუნის მიერ.

გარდა ამისა, სხვადასხვა პირებისაგან ჩაწერილია მთელი რიგი ვარიანტები. ცალკეულ გამოკვლევებიდან აღსანიშნავია „მურჭში“ 1890 წელს მოთავსებულ ლეო ბაბახანიანის ისტორიული წერილი—„დავითი და მჰერი“. 1891 წელს პროფ. ხალათიანმა რუსულ ენაზე სთარგმნა და დაბეჭდა სრვანძტიანის მიერ ჩაწერილი ვარიანტი.

„დავით სასუნცის“ გავლენა მხატვრულმა ლიტერატურამაც განიცადა. პირველად „დავით სასუნცი“ გამოიყენა სომეხთა ცნობილმა რომანისტმა რაფიმ (მისი მოთხრობები „ხენთი“, „უბედური რიფსიმე“, „შიმშილი“ და სხვა ნათარგმნია ქართულ ენაზე) რაფიმ 1887 წელს გამოაქვეყნა დიდი რომანი „კაიწერ“ (ნაპერწკლები) სამ წიგნად.

1895 წელს ლიტერატორ-მასწავლებელმა იაკობ ჭალარბეგიანმა ლიტერატურულ ენაზე გადაიღო და ცალკე წიგნად გამოაქვეყნა ამ ნაწარმოების ერთი ვარიანტი. იმავე წელს, იმავე ჭალარბეგიანმა ცამეტ თავად გაყოფილი დავით სასუნცი „ჰაიოც ლეზუ“-ში (დედაენა) მოათავსა. იქ, სხვათა შორის, შესავალში მოცემულია დავითისადმი მიძღვნილი ლექსი. ამ ლექსით ხალხი დავითს ხოტბა-დიდებას ასხამს, ხოლო სომეხი მშრომელი ხალხის მტერს მსრა-მელიქს ლანძღვით იხსენიებს.

1899 წელს ჟურნალ „ლუმა“-ში, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნად დაიბეჭდა გ. ბალასანიანის „ასლი მელიქ ევ სანასარ“ (ასლი მელიქი და სანასარი). 1904 წელს იმავე ავტორმა ბათუმში დაბეჭდა „პსტიკ მჰერი“ (უმცროსი მჰერი), ხოლო ტფილისში—„ერკუ ფალავან“ (ორი ფალავანი). ბალასანიანის მიერ ჩაწერილი პირველი ვარიანტი: „ასლი მელიქი და სანასარი“, როგორც თითონაც აღნიშნავს, განსაკუთრებით საინტერესოა იმ მოსაზრებით, რომ ფუნდამენტალურია და აქვს ისტორიული მნიშვნელობა. პოემაში კარგად არის მოცემული მასალა ლინგვისტიკურ-ისტორიული დაკვირვებისათვის.

1902 წელს „დავით სასუნცისადმი“ ინტერესმა მხატვრულ ლიტერატურაში უმაღლეს წერტილს მიაღწია. ეს ის პერიოდია, როდესაც სომეხი ხალხის დიდმა პოეტმა ჰოვანეს თუმანიანმა გამოაქვეყნა თავისი „დავით სასუნცი“, რამაც ხალხში უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. თუმანიანის პოემამ გაზარდა ხალხის ინტერესი სომხური ფოლკლორის შესწავლისადმი. ჰოვანეს თუმანიანის „დავით სასუნცს“ შთაბერილი აქვს დემოკრატიული სული, გამსჭვალული ჰუმანიზმით და ინტერნაციონალიზმით.

ჰოვ. თუმანიანის „დავით სასუნცში“ დავითი ბავშვობიდანვე გმირული სულით აღჭურვილ ადამიანად არის დახატული. 7-8 წლის ბიჭი ქვას ცეცხლს აყრევინებს. დავითი ამირანს წააგავს არა მარტო გმირობით, არამედ ტანსაცმელითაც. რკინის ქუდი, რკინის ფეხსაცმელი, შეუპოვრობა, უშიშრობა, — აი რითი ჰგავს ერთმანეთს ეს ორი გმირი.

მეტად საინტერესოა „ამირანისა“ და თუმანიანის „დავით სასუნცის“ მეცხრე თავის მსგავსება. ერთის მხრივ, ამირანის მიერ დედაბრისათვის კოკის გატეხა, დედაბრის მიერ ბიძების ხსენება, ხოლო მეორეს მხრივ — დავითის ნადირობა, ყანის გაქელვა და დედაბრის მიერ მამაპაპეულ მიწა-წყალზე მითითება. ამბის დაწვრილებით გაგებისათვის ამირანი დედას ძუძუზე კბილს უჭერს, ხოლო დავითი მენოფჭ ოჰანას შვილდ-ისარს უმიზნებს. დავით სასუნცი თავის სამშობლოს ერთგული დამცველია. იგი მოითხოვს მტრების მიერ სასუნის ტერიტორიის დატოვებას: „სასუნის ქვეყანაში თქვენ ადგილი არა გაქვთ“, მიმართავს იგი მათ. დიდის ოსტატობით არის მოცემული დავითის ანდერძისებური გამოთხოვება; იგი ეთხოვება დედას, ძმებს, მშობლებს, ყველას გამარჯვებას უსურვებს, ხოლო თვითონ გააფთრებული დაეძებს შურის საძიებლად მსრა-მელიქს: „მაგრამ სად არის მეფე ახლა, რომ შავები ჩავაცვა?“ კითხულობს დავითი. დავითის ბრძოლა მსრა-მელიქის წინააღმდეგ ისე ცოცხლად არის მოცემული, რომ მკითხველს თვალწინ უდგება მამაცი დავითის სახე. დავითი ლეგენდარული გმირია. მან ერთის ხელის დარტყმით წისქვილის ქვა ათას ნატეხად აქცია. გამარჯვებულ დავითს სომეხი ხალხი უმღერის:

იცოცხლოს დავითმა, ჩვენმა
იმედმა,
რომ ჩვენ მოგვცა მხიარული
დღე.

დავითი სომეხი ხალხის საყვარელი სახელია.

თუმანიანის „დავით სასუნცის“ გვერდით აღსანიშნავია ლეონ მანველიანის დრამატიული პოემა „დავით სასუნცი და მსრა-მელიქი“, რომელიც 1905 წელს გამოქვეყნდა. პოემა მშვენიერი ენით არის დაწერილი და ეს იყო მიზეზი, რომ 1938 წლის 10 დეკემბერს სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირმა ხელახლა განიხილა მანველიანის პიესა და საჭიროდ სცნო მისი სცენაზე აღდგენა. ამ პიესაში მჰერი მებრძოლი გმირია. მას სურს თავისი მამის დავითის მსგავსად გმირი იყოს, რადგან მას სამშობლო ქვეყნის პატრონობა დაავალეს. დავითი თავისუფლების მოტრფიალეა. იგი აცხადებს: „დავბადებულვართ თავისუფლად და ვიქნეთ თავისუფალნი“.

დავითი სომხეთის ტერიტორიიდან აძევებს სომხთა მჩაგვრელ მსრა-მელიქის ურდოს. იგი ეუბნება: „დეე, გაიგოს მან (მსრა-მელიქმა), რომ ამიერიდან სასუნის ქვეყანაში ახალი მზე ამობრწყინდა. დავითი დატყვევებულ მშრომელ სომეხ ხალხს ანთავისუფლებს: „აჰა, ვლეწავ თქვენი ციხის კარებს, რადგან დაგიდგათ დღე თავისუფლებისა“.

ინტერესი „დავით სასუნცის“ ამით არ ამოწურულა. 1919 წელს სომხეთის ცნობილი საბჭოთა პოეტი ავეტიკ ისააკიანი ჟენევაში ყოფნის დროს, შეუდგა პოემის წერას, რომელსაც ეწოდება „სასმა მჰერი“. დაამთავრა იგი 1937 წელს ერევანში. პოემა შესდგება ოთხი თავისა და პროლოგისაგან. პოემის ძირითადი იდეა ხალხთა თავისუფლებაა: „დავამსხვრიოთ ბოროტი ქვეყნის საძირკველი და დავამკვიდროთ ღარიბთა ქვეყანა უძლეველი, რათა ღატაკებმა თვითონ განაგონ თავიანთი ბედი!“. იმავე 1919 წელს ნიჭიერმა სომეხმა პოეტმა, ილია ჭავჭავაძის სომხურ ენაზე საუკეთესო მთარგმნელმა, არუთინ თუმანიანმა დასწერა ოთხ-მოქმედებიანი პიესა ლექსად. ამ პიესის დედა-აზრი „დავით სასუნციდან“ არის აღებული. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ვ. ვალარშიანის პიესა „დავით სასუნცი“, რომელსაც 1935 წელს წილად ხვდა კონკურსში დაჯილდოვება.

სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილებას „დავით სასუნცის“ ათასი წლის იუბილეს ჩატარების შესახებ ფართოდ გამოეხმაურა საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ათასი წელიწადია. ეს პოემა თაობიდან თაობაში გადადიოდა. იგი ზრდიდა ხალხში თავისუფლების და სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულს.

ნინო ნაკაშიძის ახალი საბავშვო მოთხრობა

ნინო ნაკაშიძემ მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციაში წაიკითხა თავისი ახალი საბავშვო მოთხრობა „კახა“. მოთხრობა ასახავს საბჭოთა სკოლისა და საბჭოთა მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრებას. მოთხრობის პერსონაჟია საუკეთესო საბჭოთა პედაგოგები, ფრიადოსანი მოსწავლეები და მშრომელები.

ნაწარმოების სუჟეტი გაშლილია სკოლისა და ოჯახის ფონზე. ავტორი გვაჩვენებს ბავშვების ყოფას სკოლაში, ოჯახში და მის გარეთ. იგი გვიჩვენებს იმ დამახასიათებელ მომენტებს, ყოფითი გარემოს, რომლებიც ახდენენ ბავშვებზე, მათ აღზრდაზე გარკვეულ ზეგავლენას. ნაწარმოების ძირითადი მიზანია საუკეთესო ფრიადოსან მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრების, სასწავლო დისციპლინათა დაუფლებისათვის ბრძოლის დამაჯერებელი ჩვენებით აღმზრდელობითი გავლენა მოახდინოს ნორჩ მკითხველზე. აღძრას ფრიადზე სწავლისადმი მისწრაფება და ცხოველი სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი.

მოთხრობა სიუჟეტურად საინტერესოა. ავტორს იგი ძირითადად ცოცხლად და მიმზიდველად აქვს დაწერილი, კამათში გამოსულმა მწერლებმა ი. გრიშაშვილმა, ა. ხახუტაშვილმა, ს. ქვარიანმა, მ. მიქელაძემ, ე. ასტვაცატუროვმა, ლ. გეგეჭკორმა, ი. სიხარულიძემ, რ. ქორქიამ და სხვ. ხაზგასმით აღნიშნეს მოთხრობის აქტუალური მნიშვნელობა, მისი მხატვრული ღირსება და მისცეს ავტორს აგრეთვე რამდენიმე არსებითი შენიშვნები. მთავარი შენიშვნები ეხებოდა დეტალების დაზუსტებას, პერსონაჟის ხასიათების უფრო მეტ ხაზგასმას და ბავშვთა აღზრდის საქმეში მასწავლებელთა და ოჯახის როლის უფრო ძლიერად გამოკვეთას.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებისა მოთხრობა საინტერესოა, იგი ავტორის მიერ დაპირებული გადამუშავების შემდეგ ახალი საუკეთესო შენაძენი იქნება ქართული საბავშვო მხატვრული ლიტერატურისათვის.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 18 (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 711